

1937

3660 12

№23-24

# ბიბლო



ბიბლო 1937 წლის 23-24 ნომერი

# ამაოდ დაშვრალი

„ვეფხის ტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის აღსანიშნავმა ზეიმმა საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე დაინტერესა; ვინაიდან რაც ხილულ ქვეყანაზე ხდება მისი განცდა-გაგება ადვილია, გადაწყვეტე ჩემი ოცნება ან თუ გნებავთ „მუზა“ უხილავ ქვეყანაში გამეგზავნა. გამეგზავნა ოცნებით იმ ადამიანთა ფანტასტიურ სამყაროში, რომლებიც ოდესღაც თავისებურად „აფასებდნენ“ ჩვენს დიდ გენიას. ამ მიზანთან დაკავშირებით ჩემმა ოცნებამაც მიიღო უსხეულო „სულის“ გარეგნობა, სხვაგვარად რომ ვსთქვათ, მე თვითონ ოცნებად ვიქცე და შიგ კაკალ საიქიოში ამოვყავი თავი.

ამბავმა რუსთაველის მიერ „ვეფხის ტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის გასვლის დიდ სახალხო ზეიმით აღნიშვნის შესახებ საიქიოშიც მიაღწია და გარდასულ ადამიანთა ერთ ბანაკში არაჩვეულებრივი შეშფოთება გამოიწვია.

მეც იმ ბანაკის დასათვალისწინებლად გავეშურე.

— როგორ! მის სახელს კიდევ ახსენებენ?! შეაჩვენოთ ღმერთმა წყეულები. — წამოიძახა ვიღაც ანაფორიანმა ბერმა.

— დალახვრულ იქნენ სატანისაგან მოქალაქენი საბჭოთა ქვეყნისანი მიმდევარნი საქმეთა ეშმაკეულთა! — დაუმატა მეორემ.

— ამინ! — დაუდასტურა მესამემ.

— ქცეულან შვილნი ესენი საბჭოთა ქვეყნისანი მიმდევრებად და კერძად მუხთლისა სატანისა და ზვარაკად ბოროტ მათ ეშმაკეულთა... რატომ ხელჰყვეს დღესასწაულად დაწერისა წიგნისა მის „ვეფხის ტყაოსნისა“?! განა მცირედ აქვთ ძეთა ქართლოსანთა წიგნი საეკლესიოთი საცხოვრებელნი სულისანი?! დღესასწაულ ეყოთ თარგმანებაი წმინდისა ოთხთავისაი ანუ იგივე სახარებისაი, ანუ მრავალთავისაი. ანუ დაწერაი წამებისა წმინდისა მის შუშანიკისაი ანუ წმინდისა წერილისა მის ანგელოზ მიხეილისაგან, ან სხვათა მრავალთა ეპისტოლეთა წმინდათა ჩვენთა... — გაისმა ვიღაც კლერიკალის შურიანი ხმა.

— რატომ გიკვირს საქმენი მათნი, ხომ გესმა მოძმეო ჩემო, რომ ქვეყანა იგი საქართველო და კავშირი იგი საბჭოთა ქვეყნებისა სრულიად ქრისტეს მიერ განდგომილთა, ავთა ურწმუნოთა შთენიათ! მაშ ვის წიგნს მოიწონებდნენ?

— განუტევეს სიტყვა წმინდა საეკლესიოი და საქებარჰყვეს წიგნი ავი!

ასე მსჯელობდნენ უცნობი კლერიკალები. მე მათ თვალი ავარიდე და განზე გავიხედე. თვალწინ დამიდგა ვინმე ნიკოლოზ მღვდელის აჩრდილი, რომელიც ბრაზისაგან წვერებს იბღღვნიდა:

— წავიწყმინდე სული! ხელიდან დამიძვრა! ახლაც არ ვიცი როგორ გადამიჩრა. წყეულ იყოს მანქანებაი სატანისა. წავიწყმიდე სული... წიგნი გადამიჩრა, მწვალელებური წიგნი, ვეფხის ტყაოსნად ხმობილი.

— არაფერიც არ გადარჩენილა, არხენად იყავი კურთხეული მამაო. მე ვიხსენი სული ყოველთა მორწმუნეთა. მე დავსწვი და ჩავუშვი კრებული იგი წიგნთა მწვალელებისა რუსთველისა მორევსა მას დიდისა მდინარისა მტკვრისასა. — მოესმა ანტონ კათალიკოსის „მანუგეშებელი“ ხმა.

— ამაოდ დაშვრი მამაო, კვალადა ცოცხლობს და უფროორეს მქუხარებს სახელი მისი, რომელი იყო მთქმელი ლექსთა

ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყენა ქრისტეანობა. წინაპართა ჩვენთა საღმრთოდ ხოლო ჩამომავალთა ხალხთა ქართლოსანთა და აგრეთვე ერთა ყოველთა სათავისოდ თარგმნეს და მიიჩხიეს ბოროტი ლექსი მისი. — გამოეხმაურა მთავარ ეპისკოპოსის ტიმოთე გაბაშვილის აჩრდილი.

— არა დასაჯერებელ არს ამბავი ეგე, რადგან არა ძალ ედვათ ჩამომავალთა ხალხთა ქართლოსანთა, თარგმანებაი წიგნისა მის სათავისოდ, რამეთუ მოსპობილ არს წიგნი იგი ხელითა მიერ კურთხეულითა ჩემითა...

— ამაოდ დაშვრი, საწუხარს ესე. წიგნი იგი გავრცელებულ არს ათეულ ათასობით მრავალ ენათა ზედა, ხოლო ენასა ზედა ქართლოსიანთა გავრცელებულ არს ჟამსა სუფევისა საბჭოთა ხელისუფლებისა უმეტეს, ვიდრე ათეულისა ათასისა ხუთგზის ნამრავლისა.

ამ დროს კათალიკოს ტიმოთეს აჩრდილთან მენშევიკის აჩრდილი გაჩნდა. მუხლთ მოიყარა, ხელთა ჩონჩხები მალლით ალაპყრო და სასოებით წარმოთქვა:

— შემინდე მამაო!

— რა ცოდვა გაქვს, შვილო?

— წარვედ გზად სატანისა, მაცდუნა ეშმაკმა!

— აღიარე წრფელად ცოდვანი შენნი.

— საქმითა ეშმაკეულითა წავიწყმიდე სული ჩემი.

— რა ჩაიღინე?

— ბოლშევიკებმა მარტო ქართულად 60.000 ცალზე მეტი დაბეჭდეს... არც ისინი ცხონდებიან, მაგრამ მე ჩემს თავს ვწუხვარ...

— რა დაბეჭდეს? რა ჩაიღინე?!

— „ვეფხის ტყაოსანი“ კურთხეული მამაო. ჩემი ხელისუფლების დროს...

— მძიმე ცოდვაა.

— მე არ დამიბეჭდია, მაგრამ სხვების მიერ დაიბეჭდა.

— ბოლშევიკებმა 60.000 მეტი დაბეჭდესო. შენ დროს ალბად სამასი ათასი მაინც იქნებოდა. — წარბშეკმუხვნით სთქვა ტიმოთემ.

— არა 3 ათასი... შემინდე მამაო!

— შემინდვია შვილო. — ანუგეშა მოძღვარმა.

— არ შეიძლება, საშინელი ბოროტებაა. შენ რომ შეუნდო მე არ შეუნდობ. — წამოიძახა „მემარცხენე“ კრიტიკოსის კაპიტონ ჩიტირეკიაშვილის აჩრდილმა.

— შენ რაღას მემართლები? — იკითხა მენშევიკმა.

— ბოროტებაა, საშინელი ბოროტება. ცეცხლი მაგისთანა ქმნილებას! შიგ არაფერი სწერია.

— დაბნეულხარ შვილო: წერია და ეგ არის მთელი უბედურობა.

— არაფერი სწერია, კრინტიც არ არის ნახსენები!

— მაშ არ წავიკითხავს. — მოისმა უცნობი კლერიკალის აჩრდილის ხმა.

— წამიკითხავს, სტრიქონობით მაქ შემოწმებული, კრინტიც არ არის დაძრული არც 8 საათის მუშაობის შესახებ, არც კაპიტალისტურ წესწყობილების კრიზისის შესახებ, არც 1914 წელს დაწყებულ სოფლიო ომის შესახებ, არც ვერსალის ზა-



როს შეუდგა პოეტობას,  
აღტაცება ჰქონდა კვიცის;  
ძლივს დაწერა ორი სიტყვა, —  
ამის მეტი აღარ იცის..

„ღრმა აზრებიც“ გაუფრინდა  
სიტყვის კონად დასაწერი  
და დუგლადის ჯორივით დგას  
მოლაღატე კალმის წვერი.

გმინავს... ოფლში იწურება,  
გაგრძელება უნდა ოდის,  
ქალღღებები დაახვავა,  
მაგრამ ლექსი არ გამოდის.

ვისა და საქართველოს კათალიკოსის ამბროსის მიერ რომის ეხლანდელ პაპის პიუს მე-13-სთან გაგზავნილ წერილის შესახებ. ცეცხლი ასეთ ნაწარმოებს!

— ჭკუა არეგია საბრალოს, შეჭკარით! — გაისმა უცნობი აჩრდილის ხმა.

— თავი დაანებეთ! — მოისმა მეორე უცნობი კლერიკალის ხმა: — ჩვენ ყველანი და კაცი ეგე ერთ წერტილში ვცემდით.

ხმა იგი სიმართლის ღალადება იყო. მუდამ ხმაშეწყობით ილაშქრებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ ყოველნი გარეწარნი და ბნელნი ძალები. ილაშქრებდნენ მაგრამ ამოდ დაშვრენ. შოთას გენიის ნაყოფი მშრომელი ხალხის ხელში საკაცობრიო კულტურის უდიადეს სამკაულად იქცა „ვით მარგალიტი ობოლი ხელიხელს საგოგმანები“.

მედუზა

## შოთა საჭირისა და იუპოკრის შესახებ

მესამე ლექსი კარგი არს:  
სანადიმოდ, სანდერელად  
სააშკოდ, სალადობოდ,  
აქსანავთა სათქველად  
ჩვენც მათიცა გვიანების,  
წოცა ოდენ თქვან ნათელად...

გონიერსა მწვრითნელი უყვარს, უგუნურსა გურსა ჰგმირდეს.....

ორნი კაცნი მიდიოდეს:  
სადაური სადმე გზასა,  
უკანამან ნახა წინა  
ჩუარდნილი შიგან ჭასა,  
ზედ მიადგა, ჩაბყოდა,  
ტირს, იძახის ვაგლახ-ვასა.


ეგრე უთხრა: „ამხანაგო,  
იყავ მანდა, მომიცდიდე  
წაუალო თოკთა მოსახმელად  
მწადსო თუცა ამოგზიდე“  
მას ქვეშეთსა გაეცინა,  
გაუკვირდა მეტად კიდე,  
შემოპყვილა: „არ გელოდე,  
სად გავიქცა, სად წავიდე“.

შოთა რუსთაველი





# ცოლი და მზითვენი



მოგესხნებათ: მზითვეს აღარავინ ეტანება ჩვენს დროში. ცოლზე კი აბა, ვინ იტყვის უარს, მით უმეტეს ზამთარში, თუ ღუშელიც უდგას და შეშაც საკმაოდ აქვს მომარაგებული.

ცოლისა და მზითვის შესახებ, ერთ, პატარა სამიჯნურო ისტორიას ვიამბობთ:

ახალგაზრდა იასე, უცოლშვილო, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, პრაქტიკაზე გააგზავნეს სოფლად, გასული წლის შემოდგომაზე.

სამიჯნურო, პირველი პრაქტიკაც იქ გაიარა იასემ.

ცქრილა გოგონა მოეწონა, კოლმეურნე — ლელო.

არ იცნობდა იასე ლელოს, შორით იღაგებოდა და მხოლოდ იასეს გულისცემა და ყურების აწითლება იყო მათი ყოველდღიური, შემთხვევითი შეხვედრის დასაწყისი და დასასრული.

ერთ დღეს მარტოდ-მარტო მოდიოდა ლელო ორღობეში, ხელთ ყურძნის აკიდო ეპყრა და მილინებდა. მისი ღიღინი იასემ შეაჩერა.

— ლამაზი ხარ გოგოვ, ლამაზი!..

ლელომ გადიკისკისა:

— ყოჩაღ! როგორ გამოიცანი? შენ ახალი რამე მითხარ, ევ სიტყვები ხშირად მსმენია...

— ახალს ბევრს გეტყობდი, ხშირად რომ მხედებოდე.

— ხვალ საღამოს სოფლის ბოლოს ჭიაკოკონას დაანთებენ გოგოები!..

ლელომ კიდევ გადიკისკისა, შველივით მოწყდა ადგილიდან და ამ დროს დაშატრულ ჯაგანს ორი ქარვისფერი მტევანი მოსწყდა.

იასე ოთახში მტევნებს და გულში სიყვარულს ინახავდა დიდხანს.

## § § §

გვიანობამდე ენთთ გოგო-ბიჭებს ჭიაკოკონა სოფლის ბოლოს. ერთი ჭიაკოკონა ქრებოდა იასეს წინ — გოგოებმა რომ დაანთეს. მეორე ჭიაკოკონა უფრო ღვივებოდა იასეში — გოგონამ რომ დაანთო.

და როცა ჭიაკოკონის ნაცარ-ფერფლს შორის ორიოდ ნაღვერდალილა დარჩა, განმარტოებულ გარინდულ იასეს ყურს ლელოს წკრილა ხმა შეეხო:

— თქვენ აქ დარჩით მარტოდ?

— არა, თქვენთან ერთად.

წკრილა ხმა შეჩერდა და განაგრძო:

— თქვენც მოგეწონათ ჭიაკოკონა?

— არა!

— მიზეზი?

— სიყვარულს არ ჰგავს, მალე იცის ჩაქრობა!

— თქვენ შეყვარებული ხართ?

— თითქმის...

— საწყალი!

— გეცოდებით?

— მე ყველა ავადმყოფი მეცოდება.

— და ექიმი რომ იყო?

— წამალზე მიგუთითებდი.

— ის წამალი რომ თქვენს აფთიაქში იყო?

— სულ ჩაქრა ეს ოხერი... მე მივიღივარ...

სახლში მისვლამდე ხმა აღარცერთს არ ამოუღია.

ბიჭმა ხელი მოჰკიდა, ისე გადაიყვანა რუზე ლელო და ეზოში შესვლის წინ ქალმა უთხრა:

— გმადლობთ, მაგრამ რას იზამთ, აფთიაქი დაკეტილია...

## § § §

სითახედეთ ჩავთვლიდი მეამბნა ყველაფერი ის, რაც შემდეგ დღეებში მოხდა მათ შორის, რომლის მოწმე მე და იმ სოფლის არემარე ვიყავით მხოლოდ.

ერთის თქმა კი აუცილებელია, მოთხრობა რომ არ შეწყდეს: როცა მათმა რომანმა თანხმობის უკანასკნელ სტადიას მიაღწია, ქალმა წაიყვანა ვაჟი მშობლების გასაცნობათ.

ყველას უხაროდა სასიძოს სტუმრობა, ერთი მოუქცეველი ქათმის გარდა. და ვახშმის სამზადისში მოფუსფუსე ბებების ხმა ხშირად მოისმოდა მარნიდან:

— ნეტაი განახვათ ქა, რა ბიჭი გამოუწერია ჩვენს ლელოს ქალაქიდანა!..

ვახშმის დასასრულს სასიამაო ისიც აქითხა, თუ როდის წაიყვანდა იასე ლელოს.

— სულ ცოტა ხანში! — სთქვა ვაჟმა და დაემშვიდობა.

## § § §

იასე სადიპლომო შრომას ამზადებდა.

და სიამაოთან დამშვიდობებიდან, ორი თვის-გავლის შემდეგ, ასეთი წერილი მიიღო სატრფოს ოჯახიდან:

„დაკარგული სასიძოვ!“

რა დაგემართა შე კაი კაცო. ამდენ ხანს როგორ ვერ გადაწყვიტე ითხოვ თუ არა ლელოს! თუ არ გინდოდა ვერ სთქვი? ერთ კვირას კიდევ გიცდით თუ არ გინდა შემხვეწნი მოგიკვდეს.

შენგან დავიწყებული — სიამაო“.

წერილის მიღების დღესვე მისწერა პასუხი სასიამაოს:

„ძვირფასო სასიამაო!“

დიდი ბოდიში იმისათვის, რომ ამდენ ხანს არ გამოგზავნე ბარათი. თქვენი ქალი რომ არ მყვარებოდა, სახლშიც არ მოვიდოდი. რაც შეეხება ქორწილის დაგვიანებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ამაში მე არ ვარ დამნაშავე. მაშინ ვერ გაგაბედეთ მეტქვა ერთი რამის შესახებ: ახლა მოკლე ხანში ბიძაჩემი ჩამოვა თქვენთან და ის მოგელაპარაკებათ ამის გამო. ქალი არ გაათხოვოთ, დამიცადეთ.

თქვენი — იასე“.

ქორწილის დაგვიანება იასეს მხრივ, რასაკვირველია, სადიპლომო შრომა იყო.

სიამაოს კი სულ სხვა რამ ეგონა და აი რა მოხდა:

იასეს ორიოდ დღე უკლდა სადიპლომო შრომის დამთავრებამდი, როდესაც მისი ბინის კარებთან ავეჯით დატვირთული ურემო გაჩერდა.

ოთახში სიამაო, სიდერი და საცოლე შემოვიდა და მისალმების შემდეგ სიამაომა სთქვა:

— მორცხვი ყოფილხარ ძამია, ვაუბედავი, ცხოვრება გავიძენლდე. რათ მინდოდა ბიძაშენი ან შენი მორცხვობის ცდა, მე არ ვიცოდი რომ მზითვენი იყო საჭირო?!  
და ვიდრე ავეჯს შემოიტანდნენ ვეებერთელა ბოხჩა შემოათრეს ოთახში.

ახლაც არ ვიცი როგორ გადმოგცეთ იასეს იმწუთინდელი გაბრაზება. კინაღამ ატირდა: სასწრაფოდ ეცა ბოხჩას, ამოიღო რომელიღაც ნივთი, უნდა დაეყვირა „სირცხვილი თქვენიო“ და ეს ნივთი ფანჯრიდან ესროლა, მაგრამ თვით ნივთმა შეაკავებინა თავი.

ეს ნივთი არც ოქროს საათი ყოფილა, არც ბროლის გრაფინი, არც სიამაოსა ან საცოლის ხათრმა შეაკავებინა თავი: რა ექნა, ბოხჩასთან მისვლისთანავე პირველად „ვეფხის ტყაოსანის“ აკადემიური გამოცემა შერჩა ხელში.



# ქიმიკი და ვასკანა



„რუსთაველოლოგები“

მწერლობა რომ ძნელი იყოს, ყველა მწერალი ნიჭიერი იქნებოდა.

შიშტიბუქას ნათქვამი.

ამ დღეს სტუმრად გახლდნენ შიშტიბუქა და ვასტაბუქა ერთ ძველისძველ ნაცნობთან—ფოსტალიონ მარკი-შვილთან. ნაკითხი კაცია ფოსტალიონ მარკიშვილი. თბილისელი არცერთი მოქალაქის წერილი არ არის, რომ აღრესატთან მისვლამდე ზეპირად არ იცოდეს ხანდახან წინგსაც კითხულობს და გატაცებით უყვარს მოპოეტ-კრიტიკოსო ხალხი.

— მე ავჭალის თალგამი ვარ, შენ აჭარის მანდარინი, თუ დავითრო მასპინძელი დაშაყარე ნაფტალინი...

ასეთი ექსპრომითი შეალაჯა შიშტიბუქამ მასპინძლის, ფოსტალიონ მარკიშვილის ბინაში და ვიდრე მაგიდას მიუსხდებოდნენ ვასტაბუქაც არ ჩამორჩა შიშტიბუქას და ასეთი აფორიზმი ჩააბულბულა:

ხანამ დრო გვაქვს მოვიღწინოთ მასპინძელი შაქარ-ყანდა, თორემ როცა დავბერდებით არ ვიქნებით ახალგაზრდა.

და სალამ-ქალამის შემდეგ გაშლილ მაგიდას შემოუსხდნენ.

მათ გარდა მაგიდას ერთი ფრიად სასიამოვნო სტუმარი ამშვენებდა: ლირაკოს-პროზაიკოს-მწერლიკოს-მთარგმნელიკოსი არდალიონ ტორიფონელი.

— ბიჭო, გოჭს უყურებ, ღრანჭი რავა დაბრწყვია მაგ ღორიშვილს? — გადაუჩურჩულა ვასტაბუქამ შიშტიბუქას.

— მაგას მე უმიზნებ, ღმერთი არ გაგიწყრეს, სული არ წაიწყმიდო, თორემ თუ დავავლე ხელი... ფანჯარა არ გამამტვრევენო იცოდე.

ნერწყვის ყლაპით აათვალ-ჩათვალაღერეს ჩვენმა სტუმრებმა შავიდაზე დაღაგებული ხორავი.

— მგელივით მომწვიდა, ეს ოხერი! სახლში მინდოდა პურის

ჭამა, მაგრამ აღარ ვქენი, მასპინძლის შერცხვენა, არ მინდოდა. — სთქვა ვასტაბუქამ და გალესილი დანა შემწვარი გოჭისაკენ გააქანა.

— ბოდიში, — მიმართა მასპინძელმა ვასტაბუქას, — ქართული ადათი არ მინდა დავაზღვიო, ატბივნოის მოველი, ხომ ვაგიგონიათ? ჰო და, ვიდრე ის არ იქნება გთხოვთ ამითი გაერთოთ თავი. — და მასპინძელმა ვეებერთელა ვაზით მოხალული მწესუმწირა შესთავაზა.

— ბიჭო, ვასტაბუქა, დავილუბეთ და ეს არის! ის ატბივნოი ამის გათავებხმდე თუ არ იქნა, მანამდე ჩვენც კი ვათავადებით და...

— ნუ გეშინია, ორი მარცვალი რომ ვაკენიტო ორი მუჭა ჯიბეში უდურთე, სამ წუთში მაგის ჩენჩოს ხსენებაც არსად იქნება. მერე კი მე ვიცი.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ვასტაბუქამ ამოიკენესა.

— კაცო, მასპინძელი, მალე შეიწყვის ის თქვენი ატბივნოი?

მასპინძელს სახე აუწითლდა და ნერვიულად სთქვა:

— კრიტიკოსის შეწვა მე პირველად მესმის: ნუ თუ არ ვაგი-

გონისთ კრიტიკოსი ყორჩიხან ატბივნოი?!

შიშტიბუქამ და ვასტაბუქამ ერთხმად ამოიოხრეს.

— ბოდიში მასპინძელი, შორს ცხოვრობს ის თქვენი კრიტიკოსი? — ამოიღირიკოსა მთარგმნელმა არდალიონ ტორიფონელმა.

— რატომ იკითხეთ? — შეეკითხა მასპინძელი.

— არა, მე ისე, ვაი თუ სულ არ მოვიდეს...

— ე ბიჭო, ვასტაბუქა, მოიფიქრე რამე, თორემ ჭადრაკულადა ჩვენი საქმე!

— არხენად იყავი შენ, ამ წუთში! — და ვასტაბუქამ დაიწყო.

— კაცო, მასპინძელი, თქვენ რომელ კრიტიკოსს უცდით? ატბივნოის? ბიჭო, ეგ ატბივნოი ის არაა დილას რომ შემომხვდა და მითხრა: ბოდიში, შეიძლება კარგახანს შემაგვიანდეს, თქვენ შეუდექით ჭამას და მეც გაახლებითო. ყორჩიხანი არ ჰქვიათ, თქვენ რომ ელოდებით?

— დიას.

— მერე კაცო, ის მამაცხოვნებისშვილი ხუთი ახალგამოსულ წიგნის შესახებ სწერს რეცენზიას და ვიდრე ავტორებს არ

ჩამოუვლის, კარგად არ გამოიბრუება აქ რა მოიყვანს!

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს! — აიგნიდან მოისმა ამ დროს კრიტიკოს ყორჩიხანის ომახიანი ხმა და კარებში უწვერ-ულვაშო დარბაისელმა შემოჰყო თავი.

— ა, ხომ გითხარით მალე მოვა-შეთქი. — დიპლომატიურად წა-მოიბურტყუნა ვასტაბუქამ.

მცირე ხნის დაყოფნების შემდეგ ყორჩიხანმა სთქვა:

— პალტოს გახდას არ მითხოვთ, მაგრამ ოთახში პალტოთი ჯდომა უზრდელობაა და მასპინძელს რავა შევარცხვენ!

მერე ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი შემდეგი სიტყვებით:

— ნაფიცო კრიტიკოსი ყორჩიხან ატბივნოი... გთხოვთ მიცნობდეთ.

2.

პატივცემულმა თამაძამ, კრიტიკოსმა ყორჩიხან ატბივნოიმ მეშვიდე საღვთობელო ასე დაიწყო:

— ოდეს არაბთა იმპერია აყვავებული იყო, იმ დროს ევროპელთა ქვეყნების ცხოვრება მიყრუებულად მიმდინარ-მინაკა-ლულობდა. იყო არაბეთს როსტევან მეფეო—სწორედ ამის შესახებ სთქვა შოთა რუსთაველმა. ეს ხალხები, პატივცემულო თანამესუფრენო, სულ ჩხუბსა და კინკლაობაში ჩავარდნენ და ოდეს რომაელთა უტურფესი ქალაქები გასწორდნენ მიწის პირსა, ზედა და აღივარენ მიწისაგან პირისა, სავაჭრო გზებზე ბალახ-ბულახი აბიბინდა...

ეს ამბავიც არ გამორჩებოდა პატივცემულო თანამესუფრენო, შოთას კალამს, რომ დაეწერა, მაგრამ შესაძლებელია არ დასწერა... დიას, მე ამას თამაძად ვა-



...მოხალული მწესუმწირა შესთავაზა.

ცხადებ და რაც შეეხება ჩვენს გამომცემლობებს ვაბედულად უნდა ითქვას, აქ, ამ სუფრაზე, რომ ცოტა ჰონარარს იძლევიან. მაშ რაღათ მეგობრობდა, თანამესუფრენო, ალექსანდრე მაკედონელი ქრისტეფორე კოლუმბს, თუ მათ საერთო გზა არ ჰქონდათ. ყველა



...ატბენომ მეშვიდე სადღეგრძელო ასე დაიწყო...

გზა რომში მიდისო—უთქვამს დიანოზა იყალთოელ-კაბადოციელ-მანალეთელს მგონი თემას ვადაფუხვიე... ჩვენ შოთას გაუმარჯოს.

— ვაშა!  
— ვაშა!  
— ვაშა!  
— თანამემამულენო! — დაიწყო ვასტაბუქამ, — მარტო ტყავის ვეფხოსანი რადა ღირს, ერთი იუბილე მარტო ამ ლექსის გულლობიზა ეკადრებოდა მამის სულს ვფიცავ, ამის გარდა აიღეთ თუნდაც ქუჩუკყარამანიანი, შუშანას წამება, აზი ბაჩუკი...

— რას როშავ! — შეუტია შიშტიბუქამ, — აზი ბაშუკი თორნიკე ერისთავის დაწერილია, ნუ გამოყეყედები ხოლმე სიმთვრალის დროს... და საერთოთ თანამეკალმენო, შოთას შესახებ ლაპარაკიც არ ღირს, რადგან არა საბჭოთა მწერალს ქედს არ უნდა ვუხრიდეთ: აიღეთ ავთანდილი, ტარიელი, ფრიდონი, ნახეთ ისინი რომელ ნახატშიც ვნებავთ, ვანა ისინი გლეხები არ არიან? გლეხურებ არ აცვიათ? გლეხურებ არ იმზირებინან სურათებიდან? მაშ მითხარით მეგობრებო, რატომ არ არიან ისინი კოლმეურნეობის წევრები? რატომ გამორჩა ეს რუსთაველს?!

— შიშტიბუქა სცდება თანამემამულენო. — თქვა ვასტაბუქამ თქვენ კარგად იცით, თუ რას ნიშნავს კორექტურა და წარმოიდგინეთ ამდენი წლის განმავლობაში შეიძლება თუ არა გამორჩენოდა კორექტორს წიგნიდან შოთას მიერ ნათქვამი ის ამბავი,

რომ მისი გმირები კოლმეურნეობის წევრები იყვნენ და ადვილი შესაძლებელია ბრიგადირებიც.

— მიჰქარავს ცრუბენტელა! — წამოიძახა შიშტიბუქამ.

და ვასტაბუქამ სიტყვა ვააწყვეტინა:

— ციმბალუქამ ბალი კვინტა, ვლბიტემ კი კურკანტელა, მე კი არა შიშტიბუქავ, შენ თითონ ხარ ცრუბენტელა! შიშტიბუქამ ყანწი ჰაერში შეისრულა და ვასტაბუქას მიუღუქა:


— ჭოტმა ჭილყვავს ჭიბი მოსჭრა, ჭიამ ჭამა ჭანჭურია, შიშტიბუქა მართალია, ვასტაბუქას პანჩურია!

და ვაზავების მიზნით პატივემულმა მთარგმნელმა არდალიონ ტირიფონელმა აღმოიკვნესა:



...ტირიფონელს დაბალუბით ვადმოსცვინდა ცრემლები...

— სანუკვარნო თანამეპონორარენო, თქვენ, ალბათ ვერა ჰგრძნობთ, რომა ვეფხის ტყაოსანს ნამდვილი წმინდა ნასტაიანაგრძო. — და ასეთ მდგომარეობა-



— რას როშავ!.. შეუტია ვასტაბუქამ, — აზიბაჩუკი თორნიკე ერისთავის დაწერილია...

ში პადკლადკა უღვეს საჩრულად. მაშ ყურნი მომაპყარით: რომელმა შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...

— დაბრძანდით და ისე იგალობეთ, ბატონო არდალიონ. — დაუყვავა მასპინძელმა.

— ნიჩეგო, ნიჩეგო, პეშკომ ბუდუ სტაიაც, — უპასუხა არდალიონმა და განაგრძო: ზეგარდმო არსნი სულითა, ყენა ზეცით მონაბერიითა... და თითონ პერეველი გქსინჯეთ თანამეპონორარენო;

ქტო ზდეღალ ზემლია სვიომი სილამი, კრუგომ სუშჩესტვო ზაბახომ ისპორტილ ნებომ დუიტ...

ილი ვოტ ეტო, ნაპრიმერ: კაცი ათასად დაფასდა, ტოესტ:

ჩელოვეკ ტისიჩ რუბლ სტოიტ, დესიატ-პავედენია, ესლი ჩელავეკ ნეგოდნი ტამ პლოხო სინ ფამილია.

განა შეიძლება მთარგმნელის ნიჭს არ უჯერებდნენ ამა სტრიქონთა? მაგრამ რა უწყიან გარეშეთა! ჩემი თანამეუღლე, ჩემო თანამეპონორარენო, რომელმაც ქართულის ინჩი-ბინჩიც კი არ იცის, ხშირად მიჯავრდება ხოლმე და მაყვედრის—რას ვადააკალი თავი მაგ რუსთაველსა, მაგ თარგმანში რომ ვკითხულობ, ვგრძნობ რომ შენ რუსთაველზე უკეთესი ლექსთა თხზვა გეხერხებაო. ეს ამბავი, ჩემო თანამეპონორარენო, სამეულის თავმჯდომარემაც კარგად იცის ჩვენის ეზოისა! — არდალიონმა მერიქიფეს ყანწი აავსებინა და განაგრძო. — და ასეთ მდგომარეობა-

ში განა შეიძლება, რომ გულჩილი არ აქვითინდეს?

ტირიფონელს დაბალუბით ვადმოსცვინდა „ცრემლები თვალოთავან“.

ვასტაბუქამ ველარ მოითმინა:

— პატივემულო თანამემამულე, ჩვენ აქ თქვენი ცრემლების სასმელად კი არ მოვსულვართ. მოგვეცი ეგ ყანწი!

ამ დროს მეორე ოთახიდან ფოსტალიონ მარკიშვილის ბავშვი შემოვიდა, თან „ვეფხის ტყაოსანი“ შემოიტანა და კრიტიკოს ყორჩიხან ატბიენოის მიმართა:

— ძია, ეს ადგილი ვერ გავიგე, ვერ ამიხსნით?

სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვმა ხმამალლა წაიკითხა მისთვის გაუგებარი ადგილი:

„აწ რაცა აქა ვიშოვე საჭურჭლე დაუთვალავო, რაცა ვის ვინდა წაიღეთ არვისი ვიყო მალავი. ერთსა ვიაჯო, მიაჯეთ, სააჯო არ საკრძალავი, საქმე რამე მიც თქვენშია თავისა დახამალავი“.

ყორჩიხან ატბიენომ ეჭვით ჩახედა წიგნს და ბავშვს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო:

— რა ვიცი ბიძიკო, ჩვენ, ეს, ოცი წლის წინათ გვაქვს ნასწავლი. მაგი შენ უფრო უნდა იცოდე, ახლა სწავლობ და... ისე საერთო აზრი თუ ვინდა ვეფხის ტყაოსნის შესახებ... ისე ვინ ვასწავლით ქართულში?

ბავშვს ხმა არ ამოუღია, სწრაფად გავიდა მეორე ოთახში და ორი წუთის შემდეგ მსხვილი ასოებით დაწერილი ასეთი ვანცხადება გამოიტანა:

უ ვ ე ს ა რ  
„მ ნ ნ ა ვ ც ლ ი თ ა თ ი ვ ი ზ“  
შოთა რუსთაველის  
უესახებ ლექსიანი  
ა ვ რ ძ ა ლ უ ი ი ა

როგორც თქვენ, ჩვენც ისევე მოგვეწონს ეს ვანცხადება, პატივემულო მკითხველებო!

მ. გოგიაშვილი.  
მ. ივანიშვილი.

# ოთარ აუარაშია და შოთას აუორიზებაი

კარგა ხანს დადიოდა თბილისში ოთარ აფერუმძე და ლილინებ-  
და: „ვან სოფელთ რაშიან ხარ, რას გვაბრუნე და ზნე გჭირსა“.  
საერთოდ უყვარდა ნელი ხმით თილინი ოთარს.

— არა, ყველას რომ გვაბრუნებდეს ბედი სოფელში, არა უშავს,  
მარა რაღა მე გავბრუნდე. კეთილებოდა და ეკამათებოდა იგი თავის  
თავს.

სოფელში ოთარს არაუშავდა, გვარიანად ცხოვრობდა, ძველი  
ორკლასიანი დამთავრებული ჰქონდა, ეხერხებოდა ყავრის ახდა და  
ტაბიკების კეთება, რასაც კარგი გასავალი ჰქონდა სოფლად. სოფელ-  
ში ყოფნით ოთარი კმაყოფილი არ იყო. ვერც ქალაქში გადასვლას  
ახერხებდა მაგრამ მოხდა ისე, რომ ოთარის ბიძაშვილი „დიდი კა-  
ცი“ გახდა და ოთარმა სწორედ მას მიმართა: „ოდეს კაცსა დაეჭირ-  
ვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“ო. ცხოვრების კიბეზე ნელნელა ადი-  
ან და მაინც ხდება, რომ ერთბაშად ვარდებიან. ჩვენმა ოთარმა კი  
სახელდახელოდ აირბინა საფეხურები და მოზრდილი მალაზიის დი-  
რექტორობაზე შეჩერდა. „რა ყვაფი ვარდას იშოვნის, თავი ბულ-  
ბული ჰგონია“ და შეიფერა ოთარმაც თანამდებობა, ნამდვილ  
ბულბულად წარმოიდგინა თავი, მღეროდა, ყელს ყურძნის წვენი-  
სსველებდა, მართალია ხმა და სმენა ხელს არ უწყობდა და ეს პა-  
ტარა მიზეზი საკმარისი იყო რომ ბულბულისთვის ვერ ეჯობნა  
გალობაში, მაგრამ დაღევამი კი — აშკარად სჯობნიდა.

ჩვენ ვამბობთ ყვაფიო, თორემ თვითონ ოთარს მზედ ჰქონდა  
თავი წარმოდგენილი და „ვარდათა და ნეხვთა ვინათგან მზე სწო-  
რად მოეფინების“, ოთარ აფერუმძის მისვლას აღინიშნა ხელფასის  
გათანაბრებით.

საქმე ერთ წერტილზე არ გაყინულა. აფერუმძემ გადახედა სა-  
წყობებს, სალაროს მანქანებს და ჩაილილინა: „მაქვს საქონელი ური-  
ცხვი, ვერვისგან ანაწონები“ და ამას თავისი ლოდიკური გავრძე-  
ლება გამოუჩინდა. „მიეც ვლახაკთა საჭურჭლე ათავისუფლე მონე-  
ბი“. ოთარისათვის „საჭურჭლე“ გაუგებარი დარჩა, რომ ყოფილი-  
ყო „საღვანე“ ან „საფქვილე“ კიდევ ჰო, მაგრამ ჭურჭელს ინახა-  
ვენ შენობაში და სიმართლედ უნდა ითქვას, შენობა არავისთვის  
ჰიუცია. „ქონების“ განთავისუფლება კი ხელდახელ მოაწყო, ის  
შტატი, რომლის „სასპეტობა“ მას ჩაჰბარდა, დალილილად გამოა-  
ცხადა და გაათავისუფლა, თან მოაგონდა: „იგი წავა და სხვა მოვა  
ტურფასა საბაღნაროსა“ და თავისი ხალხით შეავსო შტატი. ამ  
თავის ხალხზე განახორციელა „რასაც გასცემ შენია, რაც არა და-  
კარგულია“.


მაგრამ, როგორც ვიცით, საკუთარი ბევრი არაფერი ჰქონდა და  
სახელმწიფო ქონებიდან გასცა „ზედმეტი“ საათების, „მივლინე-  
ბის“, „პრემ კლური“ და სხ. თითქმის გამართლდა უკვდავი შოთას  
სიტყვები, რაც გასცა სანახევროდ მისი იყო, ზოგი საჩუქარს უგზა-

## გენია და სინამდვილე

ნახ. რუსეცკისა.



სჯოგს სახელისა მოხვევა, ყოველსა მოსახვეველსა.. (შოთა)



მეხველი საქმისა ქმელისა კაცივცა იყო ცნობილი. (შოთა)

ვნიდა, ზოგი პატიუბდა, ზოგი ფულად უყოფდა. იყო კაცი ვანცრომაში, რასაც მოჰყვა გამიჯნურება. სოფელში დბტოვებულ ცოლის ფედოსის შესახებ დაასვენა: „ხვობს ხიშორე დი ვისავის-გან ვითა დაითმობის“.

მოკლედ, მოხდა ფედოსის მივიწყება და საყვარლის გაჩენა და გამიჯნურებულმა ოთარმა გადასწყვიტა: „სხვობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“ რა დიდი საგმირო საქმე უნდა ჩადინა ოთარს, საღაროს გასაღები მის ერთგულ მოღარეს ებარა და ფული თავისუფლად და ძღობაზე გამოდიოდა, ვინაიდან „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი“. ერთი სიტყვით, ჩვენი გმირი დასნეულდა თანამდებობის სენით: „რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ ვინდა საქებარი, მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტუბარი“.

ასეთი სნეულები ჩვენს დროში ექიმებს არ ეძახიან, მაგრამ თვითონ ექიმი, თითქოს გულთმისანიცა და ზედმიწევნით თავმდაბალი. ამ ექიმს შინსახკომს უხმობენ. შორი მანძილიდან ატყობს, თუ რა სენი აწუხებს ავადმყოფს და არ სჭირდება მოკითხვა, ცხენის ან ეტლის გაგზავნა, თითონვე მიდის მაჯის გასასინჯად. შინსახკომმა აფერუმიდის მჯავაც გასინჯა და წამალიც შესაფერისი გამოუწანა. დირექტორის თანამდებობა არ გაუქმებულა, მაგრამ ოთ-

რის შესახებ თამამად შეიძლება გვეთქვა „თუ თავი შენი შენ განლავს ღარიბად არ იხსენები“ო, ვინაიდან თავის მეტი აღარაფერი ღარიბა „ურციცხვი საქონელიდან“ ეს იმ შემთხვევაში შეგვეძლო გვეთქვა, თუ თავში არსებულს ოსებით მნიშვნელობას არ მივაკუთვნებდით.

დარწმუნდა თუ არა, აფერუმიძე იმაში, რომ „უმზავსო საქმე ყოველი, მოკლეა მით ოხერია“, ვერ გეტყვი, მაგრამ რომ ზის ერთ ადგილას და ღიღინებს: „სხვადასხვა კირი ჩემზედა არ ახადია ძველია“ო, ამაში კი შე დარწმუნებული ვარ.

მოწყენილია ოთარ აფერუმიდის ბიძაშვილიც, მაგრამ „თუ მოყვარე მოყვარისათვის ტირს ტირილსა ემართლების“. რასაკვირველია, კარგი იყო გაეთვალისწინებინა რას წარმოადგენდა მისი ბიძაშვილი, ან ეკითხა სხვისთვის, ვინაიდან: „სხვამან სხვისი უკეთ იცოხ ხასარგებლო საუბარი“ და დროზე დარწმუნებულიყო: „კოკასა ში-გან რაცა დგას იგივე წამოღინდება“, მაგრამ ესლა უკვე გვიანია. „დასრულდა ესე ამბავი ვითა სიზმარი ღამისა“ და მე რომ ვთქვა ესლა: „მო დევჯდეთ ოთარისათვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“ მეთქი სიცრუე იქნება და ხომ მოგესხნებათ:

„სიცრუე და ორპირობა, ავნებს ხორცსა, მერე ხულსა“.

სიგონ-ალა

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აზრის სწორ ფორმულირებას, ამის ნათელსაყოფად ერთი არაკისებური ძველი ამბავი მეტყველებს: ერთმა მძიმე დამნაშავემ, რომელსაც სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა, იმ ქვეყნის მბრძანებელს პატიება სთხოვა. მბრძანებელმა თხოვნა შეიწყნარა და, სწრაფი გადაცემის მიზნით, ლაკონიურად უღებო:

„შეწყნარება, არ შეიძლება დაისაჯოს“.

მაგრამ ტელეგრაფმა ეს დებემა ადგილზე დამახინჯებულად გადასცა ასე:

„შეწყნარება არ შეიძლება, დაისაჯოს“.

და თანახმად ამ დებეშისა, დამნაშავეც მისი მიღებისთანავე გაიყვანეს და დასაჯეს.

როგორც ხედავთ, უბრალო მძიმე ნიშნის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაცვლებამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილით დასჯა მაშინ, როცა ნამდვილად ეს სსჯელი მას უკვე პატიებული ჰქონდა.

მოდით ახლა და ეხუმრეთ აზრის სწორ ფორმულირებას.

თქვენ კი თქვენს კორესპოდენციაში ჩოხატაურის აბანოს შესახებ, რომელიც არც კი აუგიათ და, მამასადამე, რომელიც ფაქტიურად ჯერ არც კი არსებობს, იწერებით: „ხალხი დარჩა აბანოს გარეშე“-ო.

თქვე კი კაცო, აბანო რომ აგვოთ, შეიძლება არც ხალხი დარჩენილიყო როგორმე აბანოს გარეშე. ახლა კი ეს აბანო სრულიად არ არის და მამასადამე, ხალხიც სრულიად უაბანოდ დარჩა და არა „აბანოს გარეშე“.

რაც არ არის, იმის გარეშე ყოფნაც არ შეიძლება.

ასეთია ჩოხატაურელი იმ საქმის ვითარება, რომელსაც ეწოდება: სარაიონო აბანოს აგება.

რაიონულ ხელმძღვანელობას კი აკლია ამ საქმის მნიშვნელობის გაგება.

კიროვის რაიონულ სასამართლოს აღმასრულებელი ამაშუკელი თქვენ წარმოგიდგენიათ მძიმე დამნაშავედ, როცა მას სამი წელიწადია აღსრულებითი ფურცლის თანახმად, სისრულეში არ მოჰყავს კიროვის რაიონული სასამართლოს განაჩენი.

თავისთავად ცხადია, სამი წლის განმავლობაში უკვე გადაწყვეტილი საქმის სისრულეში მოუყვანლობა იმდენად გრძელი ბიუროკრატიზმია, რომ აღმასრულებელს სრულიად მართებულად შეშვენოდა გვარად გრძელიშვილი... რადგან ისეთი გვარის კაცისაგან, როგორცაა ამ შემთხვევაში ამაშუკელი, სრულიად მოულოდნელია მსგავსი საქციელი.

რა ზომის ხმარება რჩება ახლა ამხელა სიგრძის შესამოკლებლად?

ყოველგვარი იძულებითი ზომა შეუფერებელი იქნება სხვებისადმი ასეთი მორიდებული აღმასრულებლის მიმართ, როგორადაც, თქვენი აღწერის მიხედვით, გამოსჩანს პატივცემული ამაშუკელი თავისი აღმასრულებლის საკამათოდ გრძელი აღუსრულებლობის მეტად სათნოიანი მანტიიდან.

მაგრამ ერთადერთისა და უკანასკნელი ზომის ხმარებას მაინც გირჩევთ: აიღეთ და გვარი „ამაშუკელი“ შეუცვალეთ მას ორი სიტყვით: „ამას უკელი“, ე. ი. უკელი გაჭიანურებას-თქო.

შესაძლებელია, ამან გასჭრას და ახლა მაინც მოიყვანოს სისრულეში ის თქვენი აღმასრულებელი ფურცელი.

ენუქა

## კურს ველარ სცნობდა...

## ახალი ნამცხვარი

ტყობულს აქვს ერთი „ბალნიცა“ მყის რომ განკურნოს სხეული.

კაცი, ჯანსაღად მისული უკან ბრუნდება სხეული.

თუ მივა ბავშვი როგორმე გამვლელი გზისა შორისა. — დაწვება, არის ათი წლის. ადგება — ოცდაორისა.

მივიდა კოტე ხუჯაძე, ექიმის ნახვა ეწადა. სამ დღეს კიბესთან წოლილა, ორ დღეს ბალკონზე ეცადა.

მეექვსე დილა გათენდა, მოისმა რაღაც ხმაური; შემთხვევით შემოსულიყო ექიმი ფიცხელაური.

კოტეს მოთხოვა მოწმობა, რომ ხარ ნამდვილად ავადო, და თუ არა გაქვს, იცოდე, საქმე წავივა შევადო.

რაღაცა ხეირს ვერ გატყობ, ადექი შენდა-თავადო, მთაში ვერ მორჩი ყაზახო, რომ ჩამოსულხარ ბარადო?!

სთქვა და გავიდა მკურნალი, კოტე შეწუხდა ლოდინში. ადგა, გააღო პალატა შეწვა პირდაპირ ლოგინში.

მეშვიდე დილით გვიღავამ გაიგო საქმე კოტესი, „ტრუბკასთან“ ერთად მოარტყა დაცინვა უბოროტესი.

— შენხელა კაცი ლოგინში ტიფისთვის როგორ წვებო, აგრე ჩერჩეტი რავე ხარ რომ შენით ვერ მორჩებო!

დაწექი, აღარ გაირყე, მოგიტანებენ წამალსო, დალიე, არ დააქციო. გარიგებ, როგორც მამასო. კვლავაც გაიჭრა ექიმი.

კოტე ელოდა შველასა, გამვლელსა და გამომვლელსა ეხვეწებოდა ყველასა:

— იქნებ მიშოვოთ წამალი, არ წამიყვანოთ სოჯლადა, წყალიც მაკლია, რაც მქონდა ისიც დავღვარე ოფლადა.

ასე, ამგვარად, ჯახირით თვითონვე მორჩა სხეული — პურს ველარ სცნობდა ერთ კვირას სმა-ჰამას გადაჩვეული.

მოდით, ნიანგო, ეს საქმე გავსინჯოთ გულისყურითა, ექიმი ფიცხელაური ვახტუნოთ ნიშადურითა.

საშაქარლამოში შევიდა ერთი მოქალაქე, ნამცხვარი მოითხოვა და თან გამყიდველს წვეკითხა:

— ხომ ახალია ეს ნამცხვარი მეგობარო? გამყიდველმა არაფერი უპასუხა.

მოქალაქეს უნდოდა კითხვა კიდევ გაემეორებინა იქნებ ვერ გაიგო, მაგრამ გამყიდველმა აღარც დააცალა, ისე სწრაფად მიაწოდა მოთხოვნილი ნამცხვარი.

მოქალაქემ ნამცხვარი გამოართვა და ჰამა დაიწყო. მოკბიხა თუ არა შეატყუ რომ ძველი იყო და გამყიდველს მიუბრუნდა:


— მე ხომ წინასწარ გაგაფრთხილე რომ ახალი ნამცხვარი მოგეცათ?! აბა ეს რასა ჰგავს? მგონი გუშინდელია ისე გამხმარა...

— თქვე მამაცხონებულო! — შეუტია გამყიდველმა: — რა ჩემი ბრალია, რომ ძველია და გამხმარი?... საყვედურსაც ბედავთ... ძველიაო!. თუ ახალი და გემრიელი გუნდოდათ მობრძანდებოდით მაშინ, როცა გამოვატყე 5-6 დღის წინათ, ახალი მაშინ იქნებოდა. ახლა კი თქვენ დანაშაულსაც მე მებრალბებო?! ჰმ! სასაცილონი ხართ ზოგიერთი მყიდველები, სასაცილონი! — დაამთავრა გამყიდველმა და ახალ მყიდველის მომსახურებას შეუდგა. გოცებულნი მოქალაქე სახტად დარჩა.

კიანჭველა

აკ. თუზელი.

# ოსკარ ივანეს-ძე შპერლინგი (შლინგი)



1863 წ.—1938 წ.



1938 წლის 3 იანვარს თბილისში გარდაიცვალა ქართული კარიკატურის ფუძემდებელი, ჩვენი ჟურნალის უხლოესი თანამშრომელი, საქართველოს საბჭოთა კარიკატურისტების ერთერთი თვალსაჩინო და უხუცესი წარმომადგენელი ოსკარ ივანეს ძე შპერლინგი.

ო. შპერლინგი დაიბადა 1863 წლის 1 იელისს, თბილისში, სამხედრო მოხელის ოჯახში. საშუალო განათლების მისაღებად მიაბარეს თბილისის რეალურ სასწავლებელში. „მეექვსე კლასამდე ძლივს მივაღწიე, — სწერდა ის ქართული კარიკატურის 15 წლისთავის აღსანიშნავად გამოცემულ „ეშმაკის მათრახში“ (№ 37, 1916 წ.): — თუ რა ღირსშესანიშნავი იყო ჩემი ხანგრძლივი სასკოლო მოღვაწეობა, ეს ჩინებულად ემახსოვრება ჩემს მაშინდელ ამხანაგებს, თუ კი რომელიმე მათგანი ჯერ ისევ შერჩენია წუთისოფელს. მეხუთე კლასში ყოფნის დროს, რომელიც განსაკუთრებულის სისათუთით შევიყვარე (სრულიად გაუქირვებლად დავყავი იქ სამი ბედნიერი წელი), ზედმეტი თავისუფალი დრო გადავსწყვიტე რედაქტორ-გამომცემლობისათვის დამეთმო და შევუდექი ჟურნალი „კოლოს“ გამოცემას, რომელმაც ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ მოიპოვა ფართე ბაზარი, ვინაიდან ვერ დაიმსახურა სიყვარული ჩემი კლასის დამრიგებლისა და მესამე ნომერზე უკვე სამუდამოდ განისვენა, არა ბუნებრივი და თანაც ტრადიციული განსვენებით. მოხდა ეგ ღირსშესანიშნავი ამბავი 1880 — 81 წლებში“.

1881 წლიდან შპერლინგმა დაიწყო კარიკატურების ბეჭდვა იუმორისტულ ჟურნალ „ფალანგა“-ში, რომელიც იმ დროს თბილისში გამოდიოდა ივანე პიტოევის ხელმძღვანელობით.

1884 წლიდან შპერლინგი შედის პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, რომელსაც ამთავრებს საუკეთესო წარმატებით. უმაღლეს სკოლაში სწავლის დროს იწყებს თანამშრომლობას იუმორისტულ ჟურნალ „შუტ“ში („ხუმარა“) და გერმანულ იუმორისტულ ჟურნალ „პიპიფაქს“-ში („ეშმაკი“). 1891 წელს შპერლინგი უკვე მიუჩქენშია, სადაც სწავლას აგრძელებს ცნობალ ბატალისტ მხატვარ რუბოსთან. 1893 წელს შპერლინგი უკვე თბილისშია და ათავსებს თავის ილუსტრაციებს მაშინდელ ქართულ ჟურნალებში და სახელმძღვანელოებში („დედაენაში“, „ნაკადულში“, „ჯეჯილში“ და სხ.). 1901 წლიდან იგი იწყებს კარიკატურების მოთავსებას ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. „დიდხანს ელოდა ჩემი კარანდაში სამოღვაწეო ასპარეზს“, — სწერდა განსვენებული 1916 წელს გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ ხასიათის წერილში: — „1901 წელს ა. მ. ჯაბადარს მოუვიდა თავში გენიალური აზრი, საძირკველი ზაყარა ქართული კარიკატურისათვის. გავუღვინე წვერი ჩემს კარანდაშს, გამოვადვიე მათრახი ჩემი და აი უკვე 15 წელიწადია, რაც ვიღვწი ქართულ იუმორისტულ პრესაში“.

ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ კიდევ განვლო 22 წელიწადმა... შპერლინგი ამ პერიოდში და განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უფრო მეტი აქტიურობით აგრძელებდა პრესაში მუშაობას. მისი კარიკატურები სისტემატიურად ქვეყნდებოდა ქართულ, სომხურ და თურქულ იუმორისტულ ჟურნალებში. შპერლინგმა აღზარდა მთელი ჯგუფი ახალგაზრდა კარიკატურისტებისა, რომელნიც ამჟამად ჩვენი ჟურნალის გარშემო არიან შემოკრებილნი. იგი მუდამ დაუღვიწყარი იქნება როგორც კარიკატურის ბასრი მახვილის წარსული ცხოვრების სიმახინჯის გამომხატველ „გმირების“ წინააღმდეგ მიმართველი, ერთერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი საბჭოთა კარიკატურისა და ქართული კარიკატურის ფუძემდებელი.

# მოკიდნეს ყოველი მწერადნი რუსთველის სახელტბუდად

## შესავალი

ვის ძალუძს ჩვენებო სიმღერა და ანმცა სიყვარულია?  
ვის უცემს მკერდში გზნებული ჩვენებრივ სალი გულია?  
ვის დააფასოს სამშობლოს დიდება დიდებულება?  
ან დიდი განძი კულტურის, მისაღვე დანაგულია.

ჩვენსა გარეშე ვერაფერს მისწვდეს ამ მწვერვალს მზიანსა:  
დიდი ბელადის გამოზრდილს ხალხს — კომუნიზმის გზიანსა,  
ახსოვს და იტყვის დიდ სიბრძნეს დიდ შოთას განაზიარსა,  
არ დავიწყება მოყვარისა აროდეს გიზამს ზიანსა.

ახსოვს და საქმით ანაღდებს ღვაწლთა არდამვიწყებელი  
აწ ხელოვნების ქურუმთა ღირსებით გამდიდებელი,  
მტრისთვის პატივთა მიმცემი, მკრეხელთა კვლავცა მტყებელი  
ღელთა ყველა მნათობთა თვის კალთას შემომკრებელი.

გოეთემ, დანტემ, ჰეინემ — ვისიც ჩანვია ხმიანი,  
ვისიც მშობელი ქვეყანა დაბნელდა ფაშისშიანი,  
ედღინაცვლა, უარპყო ცეცხლით უპირა ზიანი, —  
მართ საბჭოებში იპოვეს ნამდვილ სამშობლო მზიანი.

პომიროს, — კვლავცა ფირდოუს, შექსპირი, სერვანტესია,  
რომელთა სიტყვას სიკეთის ქვეყნად მზე დაუთესია, —  
მხოლოდ ჩვენ დავაფასებთ ვითა ნამდვილი წესია —  
გული კვარცხლბეგად დაუღვით. ის ვარდი ვარგეთ, ეს ია.

მართ ჩვენი ქვეყნის ხელოვნათ მზე უფრო მივადევარენით,  
სახელი ვით ვსაქვით იმისა, რაზომცა შევიყვარენით,  
მათი დიადი აზრებო გულთანაცა შევიკარენით, —  
რაც მათ პატრვი მივაგეთ, არ გამოითქმის არ ენით.

დიდი პუშკინი მთელის ხმით ჩვენს დროს ამღერდა მხოლოდა,  
დაფასდა მათი ნაღვაწი, ძველად ვინც დაიჭოლოდა,  
რუსთველი პოეზიისა რომ ჩირადანათ გვეყოლოდა,  
ვადიდნეთ მისა სახელი, ვრქვით: — უკვდავების ტოლო და!

რეალი აუგეთ მაღალი მხრებით ზეცამღე მჯგენელი, —  
მის იუბილეს ხმა განხდა მსოფლიოს ვადამწვედენელი, —  
აწ ყველა კაი ვანცვიფრდეს ნიაზთა გამომჩენელი,  
გულს ნათლის სვეტად ჩაიდგეს მის სიბრძნე ტკბილსასმენელი

## აქა დღევანდითა კლენუვად მოსვლა და სიხარული დიდი

რა გაიგეს რუსთველის რუბილეს დღეთა ცნობა,  
საბჭოეთის ყველა ხალხთა გულს, აღეძრათ ტკბილი გრძობა,  
მწერალთა და მომღერალთა — ვითა ითხოვს ამას ძმობა —  
იწყეს „ვეფხისტყაოსნისა“ თვის ენაზე ვარდაწყობა.

სთარგმნიდნან, სტამბავდიან, მრავალ წინათ მოუძღვნიან,  
დიდი შოთას სახორტბელად ჩანვთა სიმნი მოუწყვიან,  
დას-დასებად დაწყობილთა წინ რჩეულნი მოუძღვიან,  
მოვიდნან, საქართველოს, სასალამოდ მოუხნიან!

რა ვავხალსა მოცაეიდნენ, მატარებლით გარდმოხდიან:  
მათ ზღვა ხალხნი დროშებით და ბუკ-წინწილით შემოხვდიან,  
„ურა, ვაშა, იაშასუნ, ხაი-ქივეს“ შესახიან, —  
მრავალ ენას მეტყველებენ, მაგრამ ერთსა იზრახიან!

ეს ერთია-ხალხთა ძმობა, სიყვარული უშრეტელი,  
ჩვენში მყარი, სხვაგან კვლავცა უნახავი, უჭკრეტელი,  
თერთმეტ დროშით შეკრული და ერთობილი, ვით კედელი —  
დიდ სტალინის მარჯვენითა ნაშენი და ნაჭედელი!

რა მოთავდის მისაღმება ქუდნი კვლავცა დაიხურნეს,  
მართ ტაიქთა არამეოლნი აეტოს შესხდეს, კარნი ჰხურნეს,  
სტუმართაც და მასპინძელთაც დედაქალაქს შემოსტურნეს  
ილაღეს და გაიხარნეს, კვლავ პლენუმად გაეშურნეს.

## აქა რუსთაველის შესხვა მის თეატრში და ფეხლოზის ლაშქართა მუშაპულათი

თბილისს შევნიღდა შედროშვა, შეკანშვა შეყვავილებით,  
სასახლეები, სვეტებით — მარმალოლოსგან თლილები,  
ქუჩები-ივტოთ ჯირითში მბრწყინანენი, არდალილები,  
მათ ზედან ციმციმ-კისკისით ჰკრთოდეს ელექტროლილები.

აქ რუსთაველსა პროსპექტი აქვს თვისი-საკუთარი,  
საკუთარივე თეატრი მის შუაგულში მდგარია, —  
დასთა დასულად მიადგეს მას მწერლებისა ჯარია —  
შეგან შეიჭრნეს, ემოსათ კოსტუმი, არ აბჯარია.

შუქდანიათოვად ბრწყინავდა დარბაზი მოფარდაგული:  
შუაში იდგა თვით შოთა მარმარით მოქანდაკული,  
გარს შწერალთ სპანი ემწკრივნეს შაირის ცეცხლით დაგული,  
მათმან ხალისმან წაუღის მკვრეტელს გონება და გული.

წარმოსდგეს და პირველ სიტყვას ჩვენი სტავსკი წარმოსთქმიდეს,  
სიტყვა, თუ: — სიბრძნე რუსთველისა, რაზომ ხანსა არ დაზმიდეს,  
დილობს და მანათობლობს, მთელ სამყაროს შუქით რთვიდეს —  
მისით ესდენ სიამაყე სხვას ვის შეხვდეს ჩვენგან კიდეს?

დიდი ბელადის ხსენებამ დასძრა ტაშების გრივალი,  
ფეხზე სდგას მთელი დარბაზი, ჰქრის სიყვარულის იქ ალი,  
— სტოცხლობდეს დიდი სტალინი — ბრძენი, მტერთ შეურვიალი:  
ჩვენი დროშა და დიდება, ჩვენი მზე, ჩვენი ცისკარი!

არ სწყდება შეძახილები, გულნი ხალისით სძვერიან,  
ვარდათ მოსცივიან ყოვლის მხრით ლოზუნგნი სხივნაფერია:  
— ჰხარობდეს ჩვენი სამშობლო, მტერ-დამც ვადექცეს მტერია!  
— ხანგრძლივად იყოს დღევანდელი ჩვენი ლავრენტი ბერია!

ვინც დაუღალავ მარჯვენით წინ უძღვის ქვეყნის შენებას,  
ვინც აღორძინებს კულტურას და ჰმატებს ძალს და შენებას,  
— სტოცხლობდეს საბჭოეთისა ყველა ერისა მძლე ნება,  
ერთ ნებად გადაქცეული, ერთშუქი, ერთმხედ თენება!..

რა მიყუჩდის ოდნავ ტაში, კვლავცა სხვამან სიტყვა სთქმოდის,  
ყველა ენის, ყველა ერის, მცირედის თუ მათზე დიდის  
მწერალი და მეცნიერი მოხსენებით გამოვიდის  
თარგმნილ „ვეფხისტყაოსანსა“ შოთას ძღვნადმცა მთარგმნის.

ვით აღმასსა, მრავალთლილსა, ყველა მხრიდან სხივნი ჰკრთოდეს,  
ასრე სიტყვა რუსთველისა — მართ სიმჭევრით მოგვესმოდეს —  
რუსთა, თურქთა, უკრაინთა, კვლავ სომეხთა ენით ოდეს,  
მის თარგმანთა შაირთაგან სხივნი სრულად კიაფობდეს.

ორატორმან ორატორი შესცვალნეს და ესალამდეს,  
გმირობას და სიყვარულსა რუსთველისას ხოტბის რთამდეს,  
ქამი განხდა ესდენ ვრცელი, მგვრამ წასვლას არვინ ლამდეს,  
ყველა მზაა თქმად და სმენად, თუნდ დარჩენად იქ დილამდეს.

მაგრამ ცისკარმან ვაჰყარნა ვეფხნი გულმოუჯერები,  
წავიდნენ ადამიანთა სულისა ინჟინერები,  
თან ვაჰყვენ მათნი მჭვრეტელნიც, მათთვის თვალმინაჩრები,  
კვლავ ხვალვე მოსვლად მზადმყოფნი, ხელთ ბილეთების მჭერები.

მათ რუსთაველმან ღიმილით თან ვაყოლა თვალეები,  
მართ მარგალიტთა ელვამან ვახლიჩნა თლოლნი ლალეები,  
რქვა: — მდლი დიად საბჭოეთს, მისგან ვარ დანავალეები,  
მან ღამიფასა ნაღვაწი, მზით ვამითენა ხვალეები,

მოდ საუკუნე ნახევარს დღენი ვარდამხდა ბნელია,  
აწლა ვსცან სრულმზის ამოხვლა, სოფელი ასე მქნელია,  
ვნახეთ და აღარ მეთმოებით, ვაყრა აზომცა ძნელია,  
მაგრამ ვთმობთ ხვალის ნახვისა გულს მოლოდინი მზრდელია!

### აჰა კომბთა დიდ ლექსობა და დასრულება იუბილესი

შვიდ დღე და ღამეს ვაგრძელდა სჯა, მუშკულათი, მჭევრობა;  
ზოგთა გვიჩვენნეს ნაკვლევით შოთაზე ცოდნის ბევრობა,  
ზოგთ მის ცხოვრების სწავლისთვის ზრუნვა, არ დაუდევრობა,  
განსნეს ლარი და საჭურჭლე გვიჩქეს ლექსთა ტევრობა!

ზღვათა ზომისა აზრები, ჰანგები ნატოფფერები,  
ზოგნი პორთფელად წყობილნი-მელნის ტბით დანაწერები,

ზოგნი ზეპირად ნასწავლნი, ზეპირად დანამღერები,  
ნატქვამნი ხელთა ქნევითა, ან ოდნავ ყელთაღერებით.

გვესმოდის, აპლოდისმენტთა მით ზლომად მიმტაცებელი,  
მართ მათთა სილამაზეთა დღესაც ვარ მამტკიცებელი,  
პირველ რუსეთის პოეტთა ვარ ეზომ დიდათ მჭებელი:  
მოდევლამე და მორითმე, ლექსით მზის ამფეთქებელი.

მათში დასია დასული, მისაბაძაფი სხვათათვის  
მეორე ქების ვიტყოდე ჩვენს უკრაინელ ძმათათვის;  
მათი ბაკანი გზნებულა, ვით ვარიურაფი მკათათვის,  
მან დიდი რუსთაველისად მთარგმნელად თავი გადადვის.

აზერბეიჯანს და სომხეთს — მეზობელთ არა შორიანს,  
ვაქებდე მათსა პოეტებს, — უფრო ვურგუნს და ზორიანს —  
ვეფხისტყაოსნის მთარგმნელსა ლექსების მთა და გორიანს,  
კვლავ ბელორუსთ და თაჯიკთა პოეტებს სიტყვა სწორიანს,

აჰა იბილეთ, ვანკეირდით, კაცი მოხუცი — ჯამბული,  
ლექსნი ვინ გვითხრა საოცრად, ჯერ არსად არდასტამბული,  
ხელში რომ დომრა უჭირავს — სიმნი როდი აქვს თანგული,  
ჩვენმა დრომ ვააჯელია, ქაბუჯურ უცემს ჯან გული!

სხვანიც ვსთქვა, მაგრამ რამდენი, რა ენა მოსთვლის იმათა? —  
ვისი ხილვით და მოსმენით ჩვენმა ხალისმა იმატა,  
მათი ლექსების სიმტკიცე, ვულზე წაგვეცხო ცხიმათა, —  
სიღარბისლით უზნობენ მღერალნი არაკვიმატად!

დიდლექსობა აწ ქართველთა პოეტთაცა მოისმინეთ, —  
მათი ქება არ გამოსთქვათ — გულში ვითმცა მოითმინეთ? —  
მართ მეტწილად ვაიღვეს-ელვარებდეს მინამ წინეთ  
ვანაღამცა მათთა მჭვრეტთა ვილალობეთ და ვილხინეთ!

მათ პოეტთა ყოლბთა დასნი, დასად ბევრნი გამოვიდნეს,  
სიტყვა სთქვეს და ჩოგანს სცემდეს, ლექსით ლექსთა შეეჭიდნეს, —  
რა დასრულდის იუბილე, დარბაზიდან გამოვიდნეს, —  
მაგრამ შოთას სიყვარული სამუდამოდ თან წარზიდნეს.

ფარსადანი.



ნახ. ღონისა.

კოქასა უიგან რატა დგას, იგივე წარმოადინდების... (შოთა)


# გკითხველი მასები...

იმ დროს, როდესაც სახელგამის მიერ საუკეთესოდ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანი“ იაფი და მასებისთვის ხელმისაწვდომი მთელ რიგ სხვა გამომცემლობათა მიერ გამოშვებული იმავე წიგნის ფასი 40 მანეთამდე აღწევს.

ტექსტი — დონ-კიხოტისა.  
ნახ. — ლებეშვიცისა.



პიტნარეთის მწიგნობარი კოლმეურნე ნარი, დარახტული ბედაურით ქალაქს მიიჩქარის.



ოქროს ვარაუიან უდაში რუსთაველი მოსჩანს, ტურფა წიგნის ბრწყინვალეობამ ნარსაც თვალი მოსჭრა.

## აქა ამბავი

ნიაგის მიერ ნიაგორთათვის ჩანგალთა დარიგებისა და ერთისა ჩემთვისაც გოქმებისა

იყო საბჭოეთს ნიანგი, არსი ყოველისფრით სვიანი, მალალი, უხვი, მდაბალი, მრავალ-ნიანგკორ-ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, ჩანგალმორკმული ჭკვიანი, თვით მეომარი ჩანგლითა, კვლავ ენა-თითქმის-წყრთიანი.

სხვა რომ არ ეპყრა ნიანგსა, მართ ოდენ მართო ჩანგალი, სოფლისა მნათი მნათობი, არც თუ, ვითა მზე, ჰანგალი, მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული და დასცის კანკალი, ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენის ბევრის ქანქალი.

მისი საქმეა ჰუმორი, არს ესე საცოდნარია, რა ქვეყნად გაჩნდა, გაგრძელდა, მზე მისგან საწყურარია, ნიანგმან უხმო ნიანგკორთ, თვით ზის ლალი და წყნარია, გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.

უბრძანა: „გკითხავთ საქმესა, თქვენთან სასაუბაროსა, რა ვარდმან თვისი ყვაველი ვახსნას, გაასუნმტკბაროსა, მისად საყნოსად ყოველნი თვით მოვლენ მის სახლკაროსა, ჩემი რა გითხრათ, რომ ვათრევ ჩანგალსა მას ტანსაროსა...“

მე არც ყვაველით ვიქადი, არც სხვა რამ მიმზიდველობით, არა ვარ ცნობილ ტკბილისიტყვით, არცა გულისა ქველობით, მე ნიანგი ვარ, განთქმული ჩემი ჩანგლის კერის ხელობით, ვინცა იგემოს, იგვემოს წარხდომის უეჭველობით...“

რა ნახონ მისი მოქნევა, ცემა და წვერთა მჭრელობა, მისგან ყოველი განიბნეს, იკადროს მიპირხვრელობა, შეძვრეს და აღარ გამოძვრეს, მიქნას პირშეუყრელობა, მაშინ რას ვაქნევ მე მართო, რაზომიც ვიწყო ხელობა...“

აწ თქვენცა გკითხავთ: ჩანგალი ჩემი რაზომცა გრძელია, ყოველგან ხომ ვერ მიწვდების, ქვეყანა ერთობ ვრცელია,

მოდით და თქვენც ხელთ აღიღეთ ჩანგალი, რაც რომ მჭრელია, ვისცა დაესვას, დააჩნდეს ჭრილობა მისგან მწველია...“

ერთხმადა ჰკადრეს: ნიანგო, რაზომც ხართ ჩანგლის გრძელობით, ხართ და ისევ თქვენ იყავით იმისი კერით და მჭრელობით, ჩვენ მცირე მოგვეც ჩანგლები, გვექნას თქვენივე ხელობით, ვისცა ვკრათ, ბიჯიც ვერ წარსდგას, გვიცნობდენ ნიანგელობით...“

რა ნიანგმან მოისმინა ნიანგკორთა სიტყვა ესე, ფიცხლავ თახჩას ხელი ჩაჰყო, ღირს საქმეთა მქნე და მწესე, სათითაოდ ხელთა მისცა, ვის მოკლე და ვის უგრძესე, დააყოლა დარიგებაც: „ჰა, წაიღე, სცი და ლეე“...“

უკუ სდგეს და თაყვანი სცეს ნიანგკორთა ნიანგს სპათა, დალოცეს და აღდგრძელეს, ქება უთხრეს სხვანით სხვათა, ბუქსა ჰკრეს და წინწილანი შეეტკობდეს ჩანგლის ხმათა, ყურად იღეს ყოველივე, რაც ნიანგმა უთხრა მათა.

ამა ნიანგის სწავლასა ყოველი მოისმინებდა ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვერთანას არ მოიწყინებდა, ატრიალებდა ჩანგალსა ხელში და მოილიხინებდა, ჰფიქრობდა: შემდგომს ბრძოლებში რამდენს სისხლს დაადინებდა...“

მეც მივიღე ის ჩანგალი, რაც ნიანგმა ხელთა მომცა, უმისოდმცა არ მიხილოს არც დღემ, არცა საღამომცა, მას ვატარებ, გულს ვახარებ, ხალხის მტერთა ეხოც რაზომცა, მათია ფეხის ამომგდებლად ჰხამს ქვეყანა მოვლახომცა...“

აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, რაცა ჩანგლითა მოვხელო, ნიანგთან ვქნა წარგზავნება, არ ვზოგო კაცი უვარგი, ტლანქი, ხეპრე თუ თავნება, ვკრა ჩანგალი და ვაყვირო, ვერ შესძლოს რება და ვნება...“

მაწირა



რას მოასწავებს სიშიშვლე და უბელო რაში?  
ავაჯაყები თუ დახვდნენ ბეჩავს სადმე გვაში?!



— რამ გაგაკვირვათ ჯალაბო, რა მაქვს საოცარი?  
თბილისს ვიყავ და ვიყიდე: „ვეფხვის ტყაოსანი“.

## ვეფხისტყაოსანი

მინდა ამბავი მოგიტხროთ რაც თავზე გადამხდენია,  
ვითა დავსწყევლე სასტიკად ჩემი გაჩენის დღენია.  
როგორ ერთბაშად ჩამმწარდა, რაც ოდეს მომილხენია,  
უფროსილდია, თქვენც არ შეგემტხვეთ შემთხვევა შესაჩვენაა.

ერთ დღესა ცოლი გაავდა, ვით ვიჭი კატა კნავისა:  
— ეს წაიკითხე შე ბრძევი, ნაწერი დიდ რუსთაველისა:  
„მას ტანზე კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა,  
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“.

ხელთ ეპყრა „ვეფხის ტყაოსნის“ მუნ წიგნი ოთხთუმნიანი,  
ცხვირში მკრა გადამაგორა, დღე დამიბნელდა მზიანი,  
მიტხრა თუ:  
— მეც მომიხდება შუბა ვეფხისა თმიანი,  
თუ ტარიელსა შევნოდა, არც მე მომივა ზიანი.

ზამთარი მოდის, სჩანს გინდა ქვეყნად ტიტველა ვილოდე,  
შენი უხეში მოპყრობით, ეს გული რად დამიკოდე,  
სხვა შუბით დასეირნობდეს, მე კი ვობრავდე, ვტიროდე...  
უშუბოდ აღარ ვიქნები მე შენი ცოლი იცოდე...

მუნ რალა გაეწყობოდა, ვიყიდე შუბა ქებული,  
ვით ვეფხის ტყავი ბზინავდა ქალს გაუხარე მე გული,  
თუმცალა დაჯდა ძვირად, — ძლივს მოვაგროვე მე ფულ,  
მაგრამ ვიფიქრე კარგია, გამძლეა, და ჩინებული.

გმირ ტარიელმა, ხომ ვიცით, რა ჭირიც გადაიარა,  
მან ვეფხის ტყავით მოსილმა მთა-ბარი სულ დაიარა,  
მტრის ლაშქართ ბევრჯელ ეძგერა, ბევრიც მიილო იარა,  
ლომიცა მოჰკლა, ტყავი კი არ დახეცია მას არა.

ვიფიქრე: ქალსა ეს „შუბა“, ეყოფა მრავალი წელი,  
მაგრამ მოვსტყუედი საშინლად, საქმე შემემტხვეა გულმწველი,  
ორჯერაც არ ჩაუცვია, გასცვივდა შუბას თმა მთელი  
ცოლი, ვით კატა დამხრჩვალა, ვიხილე, მომწყდა მუნ წელი.

რა კარგი ტყავი უნახავს ტარიელისთვის მგოსანსა,  
„მებტორგი“ კი არ ახარებს უბედურს, ავ-ცოლოსანსა,  
რა რიგ ვალებში ჩავვარდი, გული მიეცა ოხვრასა  
მიტხარით როგორ გაუძლო ცოლს კატის მუნ ტყაოსანსა.


ლ. იმედი

თუ ყვაუი ვარდსა იმოვნის, თაუი ბუღბუღი ჰკონია...

ნან. გუროვი.



ნახე, თუ ოქრო რაღა იქნება. კვებითი ეზოებთან პირინა... (შოთა)



# ჩვენ გავიმარჯვებთ!

(სცენა წარმოადგენს თეატრის ბინას. დირექტორის კაბინეტი. რომლის კარებზე შემდეგი წარწერაა ოქროს ვარაყით: „კერძო დრამატურგის შემოსვლა სასტიკად აკრძალულია“. თვით მისი უდირექტორე-სობა „საქავეჯის“ ძვირფას ღივანზე განისვენებს პარიზონტალურ მდგომარეობაში. და ხამუშ-ხამუშ თელის თამბაქოს რგოლებს ჰაერში. კარებზე კაჟუ-ნი. მისი უდირექტორესობა სავარძელში გაიკიმება და მიიღებს ვერტიკალურ მდგომარეობას. შემოდის ჩეკაჩე).

**მეკარე** — (იატაკამდე თავის დახრით) მიიღებთ ბატონო?

**დირექტორი** — (ცრუ კლასიკური ტონით) ვინ უნდა იყოს ამ შუადღისას?

**მეკარე** — კაცია.

**დირექტორი** — რა აცვია?

**მეკარე** — შარვალი ბატონო! (შემოდის დრამატურგი პონტელი).

**დირექტორი** — რა გნებავთ?

**პონტელი** — ჩემი პიესა ხიდგმება თქვენთან.

**დირექტორი** — ოქმი გაქვთ?

**პონტელი** — რის ოქმი?!

**დირექტორი** — რომ თქვენი პიესა ნამდვილად იდგმება.

**პონტელი** — პიესა „ჩვენ გავიმარჯვებთ“ ჩემი პიესაა.

**დირექტორი** — არ ვიცი!

**პონტელი** — თუ არ იცით ყური მათხოვეთ და გაიგებთ, პიესის ავტორი მე ვარ, აფიშაზე კი ჩემ გვართან ერთად სხვებიც სწერია, მე მაინტერესებს ვი-ცოდე...

**დირექტორი** — (აწყვეტინებს) მეგობარო, მე-გობარო, რად ღელავთ, წადით შინ და მომიტანეთ ცნობა სამეულისაგან და საერთო კრების ოქმის ამონაწერი, რომ პიესის თანაავტორი ნამდვილად თქვენ ხართ და მაშინ...

**პონტელი** — თანაავტორი კი არა, ავტორი ვარ, ავტორი! დრამატიკა არ გამიწყრეს.

**დირექტორი** — მიბრძანდით, მიბრძანდით!...

**პონტელი** — (დრამატიულად) არ წაველ!...

**დირექტორი** — (ტრალიკულად) გაიყვანეთ!...

(პონტელი ცივ-ცივ ვაჟყავთ, მისი უდირექტორესობას ამშვიდებენ. შემოდის წმ. სეზმანელი, რომელსაც შემოსდევს მსახიობ-თანაავტორობის კანდიდატთა და მათ თანამგზავობთა მთელი ამაღა).

**წმ. სეზმანელი** — ჰმ!..

**დირექტორი** — დაბრძანდით!

**წმ. სეზმანელი** — და!..

**დირექტორი** — წავეკითხეთ თქვენი პიესა...

**წმ. სეზმანელი** (დაეჭვებით) ვითომ?!.

**დირექტორი** — კარგია, მშვენიერია, დიდ-ბულია, მაგრამ...

**წმ. სეზმანელი** — აჰა!..

**დირექტორი** — ერთი დიდი ნაკლი აქვს...

**წმ. სეზმანელი** — მაინც?!

**დირექტორი** — აი მეორე მოქმედების, თუ პირველი სურათის ფინალში ალისტრა-ხო რომ ამბობს: ძირს ნიკოლოზო, კითხვითი ნიშანი სწერია გაკვირვების შავიერად მე შგონა, ამას ორიოდ

დღეში შეასწორებთ. ჩვენი დახმარე-ბით...

**წმ. სეზმანელი** — ბაშუსტა!..

**დირექტორი** — ამისათვის ჩვენ გამოვყავით ადგილობრივ ძალებიდან თქვენზე მო-სამაგრებლად ერთერთი ტექნიკური რეჟისორის თანარეჟისორის თანამშემწე, რომელიც დაგეხმარებათ და გაგიწევთ თანაავტორობას...

**წმ. სეზმანელი** (სახტად რჩება)

**კიჭელი** — (შემოდის პათეტიურად დაჰყრის ქალღმერთს) აჰა!..

**დირექტორი** — რა არის ეგ?

**კიჭელი** — პიესა, კაცო...

**დირექტორი** — სად დაიდგა?

**კიჭელი** — რას ამბობ კაცო, თქვენი თეატრისთვის დაგწერე ხელშეკრულების თა-ნახმად.

**დირექტორი** — მთავარი რეჟისორის და სამ-ხატერო ნაწილის გამგის ბრძანებას ვერ დავარღვევთ.

**კიჭელი** — რა ბრძანებას, კაცო!

**დირექტორი** — ჯერ მოსკოვში უნდა დაიდ-გას ეგ პიესა, შემდეგ ჩვენ უხამთ თარ-გმანებას და დავდგამთ კიდევ. თუ გნე-ბავთ შემოდით ჩვენთან არტისტად და გაგადრამატურგებთ.

**კიჭელი** — რას ზუმრობ, ჩემო ძმაო! არ გინ-და პიესა?!

**დირექტორი** — არ მომწონს შენი პიესა, არ ვარგა.

**კიჭელი** — რომ არ წაგიკითხავს, კაცო!

**დირექტორი** — რა საჭიროა წაკითხვა, დრამატურგობის მოწმობა გაქვთ?

**კიჭელი** — რის მოწმობა, კაცო, აჰა პიესა!

**დირექტორი** — რა თემაზეა?

**კიჭელი** — საკოლმეურნეო თემაა.

**დირექტორი** — დაგვიანებულია.

**კიჭელი** — რატომ, კაცო?!

**დირექტორი** — მაგ თემაზე უკვე სურვილი გამოთქვა ჩვენმა რეჟისორმა პიესა დას-წეროს, შენ პიესასაც და ყველას პიესა-საც აჯობებს, აბა, რა გეგონა შენ?

**კიჭელი** — მაშ თავდაცვის თემაზე დავი-წერთ კაცო.

**დირექტორი** — ამბობენ რომ მაგ თემაზე რე-ჟისორის თანამშემწე ფიქრობს პიესის დაწერას... ჩვენ გვყავს ჩვენი დრამა-ტურგები, მეგობარო. მაღლობელი არა ხართ, რომ თქვენს საქმეს ჩვენ ვაკე-თებთ?!

**კიჭელი** — მაშ ერთი პაპიროსი მომაწვიენე. (პაპიროსს გადასწვდება და გააბოლებს) ნახვამდის! (გადის)

**დირექტორი** — ქართული არ ესმით მავათ. (ზარის ღილს თითს დააჭერს. შემოდის მეკარე ოთხად მოკეცილი) სკაჟიტე მხატვარე, პუსტ ნაპიშიტ აბელანია: „ჩასტნი დრამატურგ ვხოლ სტროგო ვასპრეშჩაეტსია!..“ პავეშიტ ნა დვერეი... (შემოდის ამავე თეატრის თანამსახიობ-თაგანი თვალცრემლიანი აწვდის განცხა-ლებას მისი უდირექტორესობას).

**დირექტორი** — (კითხულობს) „რადგანაც, რომ ვიმყოფებით მე თქვენთან რწმუ-ნებულო თრიატის დასში და ვიღებ ჯა-მაგირებს, ამიტომ მოგმართავთ, რო-გორც ცოლმა გამომავდო სახლიდან, რეიზა და იმიზა რომ მითხრა თუ შენი აფხანაგები გაკეთდენ შავი დედალივით პიესების გამოგონებით, შენ რა ღმერთი გაგიწყრავო. თუ კამენდია არ გამოგი-ქვია შენი ღუხი არ ვნახოვო. ახლა და-ნიალს გეხვეწებთ რომ გამიწიოთ ჯე-როვანი ყურავდება, რამეფრად გავხთე დრამატურგი და თუ კაცი ვარ მანგიე-რი პატივიცემა ჩემზე იყოს. კალანდაში და ქახალდი ქე მაქ სამყოფიერად.

ტუჩში კოცნით შენი:  
**მეცნახინახრაშვილი**

## მეორე სურათი

(იგივე თეატრი. შესავალში პონტელი დგას, რო-მელსაც ხელში სამეულის ცნობა და საერთო კრე-ბის ოქმი უჭირავს მისი ავტორობის ნათელსაყოფად)

**პონტელი** — გამიშვიო, საქმე მაქვს.

**მეკარე** — არ შეიძლება-მეთქი.

**პონტელი** — დირექტორთან მივდივარ.

**მეკარე** — დირექტორს არ სცალია, პიესას თხზავს მოქალაქე.

**პონტელი** — მაშ აღმინისტრატორთან გამიშ-ვიო.

**მეკარე** — არ სცალია პიესის თარგმნა აქვს დავალებული ქართულიდან რუსულად და შემდეგ რუსულიდან ქართულად.

**პონტელი** — მაშ ბულალტერიში მაინც გა-მიშვიო...

**მეკარე** — ბულალტერი არ გვყავს. დირექ-ციამ მოხსნა... პიესა ვერ დაწერა და...

**პონტელი** — მაშ ბუფეტში მაინც გამიშვი, შე მამაცხონებულო, წყალს დავღებ.

**მეკარე** — არც ბუფეტის გამგეს სცალია, დრამატურგათ აიჩიხა სარეჟისორო კო-ლეგამ და კომედიას თხზავს ჩვენი თე-ატრის ცხოვრებიდან.

**პონტელი** — (მოთმინებიდან გამოსული და-აპირებს მოაჯირის შემტვრევას, რომ ამ დროს ყიჟინით შემოცვივა დრამატურ-გების ლაშქარი წმ. სეზმანელის მეთა-ურობით).

**წმ. სეზმანელი** — ალლო!.. სმენა!.. მოვდი-ვართ შეტევად!.. პარად ალე!.. ვივა დრამატურგია!..

**დირექტორი** (ამხნეებს სარეჟისორო კოლე-გიას) არ შეშინდეთ ამხანაგებო, „ჩვენ გავიმარჯვებთ“.

## დონ-კიხოტი და ჟარაბიოზა.

**მინაწერი:** თბილისის მოზარდ მავრებელთა სა-ხელმწიფო თეატრის ხელმძღვანელობას ვთხოვთ ამ პიესის შინაარსს მართო თავიანთ თავზე ნუ მიიღებენ.

დონკ. და ჟარაგ.

ნინა კაზალიკაშვილისა მე-5-რე-  
მილიციის განყოფილებას.  
(თბილისის საბჭოს ქუჩა №24)

საბჭოს ქ. № 24 მცხ. ნინა კაზალი-  
კაშვილისა და მის ქურდ-რეციდივისტ  
და ხულიგან შვილის ბოროტმოქმედ-  
ებებზე არა ერთხელ შეიტანეს საჩივრები  
მცხოვრებლებმა მე-5-თე რაი-მილიციაში,  
მაგრამ ყურს არავენ უღებდს.

ჩვენ გვიყვარს უშრომლად  
დროების ტარება  
სულ უდარდებლობა  
გულის გახარება!

მცვრიანი მწვადები,  
შუშუნა ხვანჭკარა.  
და თანაც სვირულიც  
ლალივით ანკარა!...

შვილი მყავს, რა შვილი—  
ხელ-მარდი ქებული.  
მითი ვარ ცოცხალი  
და გასუქებული!...

გუშინწინ ვასტეხა  
ხუბულაყვას ბინა  
ქვირფასი ნივთები  
მან გამოაძვრინა!...

გავყიდე... დოვლათით  
ამაყსო ბიჭიკომ,  
ხელათ დავპატიყეთ  
ხრიკა და ჭიჭიკო!...

გუშინ ნათელაშვილს  
ეწვია ბინაში,  
ფულს მოჰკრა თვალი და...  
წამს იკრა ჯიბაში...

დავთვალეთ... ორასი  
მანეთი ნაღდია,  
ვენაცვალე ჩემს ბიჭსა,  
ვეფხვივით მარდია!...


სახლშიაც დაგვიდის  
შრავალი პირები.  
ჩემ შვილიკოსავით  
წამდვილად გმირები!

ყოველ დღე მეზობლებს  
ვლანძლავ და ვაგინებ,  
ვინც ხმას ამოიღებს  
ცხვირში ძმარს ვადინებ!

შრავალჯერ დასწერეს  
გრძელი საჩივარი,  
მაგრამ გამკითხავი  
ჯერ არავენ არი!

და ასე ვატარებთ  
უდარდელ ცხოვრებას,  
მეტს არ ვნატრულობთ  
ბაბუის ცხოვებას!.

თქვენი სადღეგრძელო  
ბევრჯერ გადავხუხეთ,  
რადგან ვიზიტებით  
ჩვენ არ შეგვაწუხეთ.



— აჰ, „ვეფხის ტყაოსანი“ დაწერილი არ იყოს, ხომ მე დავწერდი!

### სუყველა გააარვისვა...

(ქ. ცხაკაია)

დირექტორი ჰყავს თეატრსა  
„რეჟისორია“ — ინჯია;  
მინდა გაგაცნო ნიანგო,  
თუ რა „დამკვერელი“ ბიჭია.  
  
დასში მორეკა ნაცნობი.  
ჭაჭუ, სიპიტო, ოლდა —

სუყველა გააარტისტა  
სიდედრ-სიმამრი, ცოლია.  
  
წაიმასქნა, გაჭაფა  
მან თეატრიდან ფართალი...  
არვის გაუდის იმასთან  
კრიტიკა, სიტყვა მართალი...

ჭიჭიკო



# აქა ამჟამი ჩვენა ტარიელისა

იყო წილკანში „რაინდი“ იასონ ბეგოშვილი, ტანმომცრო, ფრიად არშიყი, — თმა ჰქონდა აქოჩრილია, გულს სიყვარული დაენტო გაუკრთა მისგან ძილია, მოსწონდა მოწონებითა სონა ჩილინგრიშვილია.

სონას ჯერ კიდევ დრო აკლდა, არ იყო გასათხოველი, რაკი თვით იდგა უარზე, — არ აწუხებდა მთხოველი.

სადამო იყო დღე-ღამე ერთმანეთს გაეყრებოდა, იასონ სოფლის ბოლოზე ვიღაცას ელოდებოდა, ხან დადიოდა, ზოჯერაც ზეზე დგებოდა, ჯდებოდა, ხან გულზე ხელებს იცემდა, ლანძღავდა, ემუქრებოდა.

სთქვა რომ ნესტანის ძებნაში ტარიელს ჰქონდა ომები, გზაში მან წყვილად დახოცა დედალ-მამალი ლომებო ჩემს საცოლეს კი დედა ჰყავს და იმას თუ ვეომები უნდა მოვინახო დამხმარეთ ჩემი კეთილის მდომები.

ახლო მანძილზე გახედა და ქალი იცნო ხმაზედა სონამ რომ გამოიარა, ის გადაუდგა გზაზედა. უთხრა ისეთად მიყვარხარ ხელს მღებინებ თავზედა, თუ ნებთ არ დამთანხმდები, მაშინ ვიქნები ძალზედა.

ქალმა პასუხად მიუგო: — გზა მომეც არა მცალია, თუ ცოლის თხოვას აპირებ, წილკანში ბევრი ქალია, ჩემთან ჩხუბი და მუქარა არ არის სამართალია, შენ „სიყვარული“ გაწუხებს და ეს რა ჩემი ბრალია?

მა საუბრის შემდეგა ხუთი დღე იყო გასული, კვლავ ძველებურად შრომობდა ჩილინგრიშვილის ასული,



შაგრამ „საქმარო“ არ ცხრება, იგი თავსაა გასული, არც მომავალზე ფიქრობდა, არც აღონებდა წარსული.

ჩამოუარა მეზობლებს არჩილასა და შაქროსა, უთხრა: — მე კაცებს ვერ ვნახავ თქვენზე უკეთეს სანდოსა, თუ ბატრონს სონას მოგტაცებთ მაშინ გადვიხდი საღვთოსა, საცოლემ უნდა გაიგოს, თუ რა ძალა აქვს საქმროსა.

სადამო არის, სიმღერით მოდიან სახლში ქალები, ჯაგში მწოლარე „რაინდებს“ დაუწყეტიათ თვალები, იკვილეს: — ხმა არ გაიღოთ, არავინ არ გვებრალებით დატოვეთ სონა და თქვენ კი სოფლისკენ გაილაღენით.

უცებ სასიძოს მსლებლებმა თოფი აიღეს ხელშია, არჩილი, მასთან შაქროი, იასონს აყენენ ფეხშია, სონა შიშისგან გაშეშდა, დედას მოეხება ყელშია, „რაინდებმა“ კი ისინი შორს გაიტაცეს ტყეშია.

ჯერ კიდევ მთვარე არ სჩანდა, ციოდა, არა ცხელოდა, დედა-შვილს წივილ-კივილზე არავინ არა შეველოდა. საცოლე არას ამბობდა, ის სულ სხვა მომენტს ელოდა, და ისარგებლა გაპარვით, მართ რადგან ძალზე ბნელოდა.

„სასიძო“ ნერწყვსა ყლაპავდა გმირობით გატაცებული, მხიარულობდა, მასხრობდა, ნადავლით აღტაცებული, შაგრამ უეცრად სამივე დარჩნენ თვალდაცეცებული რადგან საცოლე ვერ ჰპოვეს მათ ყმათა — იქვე ხლებული.

გათენდა დილა „რაინდებს“ შეხედეს სოფლის თავშია. მილიციისკენ მიყავდათ მისდევდა ქალი, ბავშვია, გმირობა მათი უკლებლივ ჩასწერეს იქვე ოქმშია, შალე სამივე წარსდგება სოფლადვე სამჯავროშია.

ქნელოდლი

საფრანგეთში აღმოჩენილ იქნა შეთქმულების ორგანიზაცია, რომელთაც აღმოაჩნდათ უამრავი იარაღი, გერმანული და იტალიური ფორმის. გამორკვეულია, რომ შეთქმულება მოწყობილია გესტაპოს მიერ. ფაშისტი დორიო საქვეყნოდ გაყვირის, რომ ეს ყველაფერი ჭორია და ყველას სასამართლოში გადაგცემთო, რითაც უნდა მიჩქალოს თავისი პირდაპირი კავშირი გესტაპოს აგენტებთან.

როცა ნათლად აღმოჩნდა  
რე გესტაპოს ხელები,  
გამყიდველი დორიო  
ამბობს განახლები:

ვინ თქვა, როგორ გაბედეთ  
თქვენ ასეთი ჭორიო,  
სასამართლოს გადაგცემთ  
თუ ბიჭი ვარ დორიო!..

გერმანიის გესტაპო  
როგორ! მას იკადრებსო,  
რომ ვილაცა შეთქმულებს  
თავსაც გაუყადრებსო?!

დამიჯერეთ, მომენდეთ  
მართალი ვარ, სწორიო

ფაქიზი ვარ უზადო  
და უმწყივლო დორიო!...

შეეკითხენ დორიოს  
მტრის ჰანგებზე მომღერალს  
— შტიულზნაგელს თუ იცნობთ  
გერმანიის გენერალს?!...

ან იქნებ მოგაგონდეთ  
კარლოს შლიხტინგენიო,  
გესტაპოს აგენტი და  
მეგობარი თქვენიო.

ან იქნებ განს გელლერმანს  
სადმე მოჰკარ ყურიო,  
გესტაპოელ ჯაშუსა  
გულს რომ უძევს შურიო?!...

იქნებ სულ დაგავიწყდათ  
გესტაპოს უფროსიო.  
დიღსი — პირსისხლიანი  
შპიტი უხუცესიო?!

ან და... მაგრამ ჯერ კმარა  
იქნებ არ ვართ სწორიო,  
ყველაფერს თვით აგვიხსნიო  
„სულო წმინდა“ დორიო!

ბარბეს-თქვენს ხელს მარჯვენას  
გულის მესაიდუმლეს,  
ვინ მისწერა წერილი  
ნოემბერში გასულ წელს?!.

სხვა ფაქტებიც ბევრი გვაქვს  
მტერთა შპიკო დორიო  
ვინ გაბედავს წარმოსთქვას:  
ტყუილია, ჭორიო?!

აქ იფეთქა დორიომ  
რათა მწამებთ ცილსაო.  
საზოგადო მოღვაწეს  
საფრანგეთის შევილსაო?!

მაგრამ გულა რას არგებს  
შუბის დასაფარავად?!  
და ჩუმად ემზადება  
„გმირი“ გასაპარავად.

დ — ა

### აქა კავაკი მღვმერთა

კიბაღჩისა ქუჩაზე  
სახლია სამი ნომერი,  
/და თუმც არ ვარ ფირდოუსი,  
არც დანტე, არცა ჰომერი,

მაგრამ ამ სახლის მდგმურობამ  
ლამის მაქციოს პოეტად,  
სამი წელია დავრბივარ  
ამ ქვეყნის მიეთ-მოეთად:

ვის არ შევივლო, სად არა  
არზით და განცხადებითა,  
რამდენი რეზოლუციის  
ამ ქალაქებზე დებთა.

ოცდა ექვს კომუნარისა  
რაისაბჭოსა ვწვევივარ,  
აქ რამდენ შეპირებასა  
და მოტყუებას ვჩვევივარ...

ეს გული მაინც არ ტყდება,  
თუმც თმას დამაჩნდა ჭალარა,  
და მინდა, რომ გაპკიოდეს  
კვლავც ჩემი ბრძოლის ნალარა...

ლამის დაგვენგრეს თავზედა  
ეს სახლი ნაამგარი,  
არც სახურავი უვარავა,  
არც კედლები აქვს მაგარი.

წვიმა ჩამოდის და რეცხავს:  
კირსა, გაჯსა თუ ავურსა,  
არც საჩივარსა გვისმენენ,  
არც თხოვნას ამხანაგურსა...

ორივე საბჭოს ქალაღი  
მოდის მესამე ნომერში,

„პირველ კვარტალში შეკეთდეს“. —  
ასე ეწერა რომელში.

მაგრამ რას დენის ქალაღის  
ანუ სხვებრ ენის კარტალი,  
როდესაც უქმად, ურგებლად  
გადის პირველი კვარტალი...

კვლავ მიაქვს არზას საბჭოში  
შშრომელთა. სულისკვეთება...  
მოდის: „მეორე კვარტალში  
ჩვენ სახლის გესურს შეკეთება,

და მზად იყავით, მოვდივართ  
საბჭო დიდი და მცირეო...  
მოდის და ნუ დაიჯერებ,  
შენ ისევ შენი სწირეო...

მაგრამ ამ წირვა-ლოდინში  
გაცვდა მესამე კვარტალიც,  
ვინ დაუჯეროს ამ საბჭოს,  
თუნდ მოიწეროს მართალიც...

მაინც მოვიდა საბჭოსგან  
მოწერილობა ფიცხელი,  
შეკეთებისა დამწყებად  
პირველ დეკემბრის მრცხველი...

მას შემდეგ ოცდათუთხმეტჯერ  
მივმართეთ რაისაბჭოსა,  
თავი მომიკედეს, თუ საბჭოს  
ზედ სიტყვაც დაეხარჯოს...

ყურიც არ გააპარტყუნა,  
სახლს კი რემონტი სჭირია.  
მდგმურები, სულ მშრომელები,  
ცხარე ცრემლებით სტირია.

ფულადაქე.

### ქინო „განთიადში“

(თბილისი)

ცოლმა მძლია მითხრა: — კაცო  
რა იქნება, ერთხელ,  
წამიყვანო „განთიადში“  
ზოგი მიდის მეცხრედ.

შევიძინე ბილეთები,  
(ნეტავ როგორ მოხდა)  
გადაურჩი ცემას მხოლოდ  
ორი წიხლი მომხვდა.  
ბილეთს თურმე არ ნომრავენ  
(აქ ყოფილა ასე)  
ჩემ კისერზე თამაშობდენ  
ფოქსტროტებს და ვალსებს.  
ჩაქრა შუქი და დარბაზი  
ეკრანს მიაჩერდა,  
მსახიობს კი სიტყვა საწყალს  
ყელში გაუჩერდა.

ფილმი ვიცი ხმოვანია,  
„განთიადში“ მუნჯობს.  
არ იწვალებს შექანიკი  
(მას ხომ ასე უჯობს)  
თავდებოდა სურათი და  
სასწაული მოხდა:  
მსახიობი კისკისებდა  
იციროდა კოხტად.  
მაგრამ ისევ ხმა ჩაუწყდა  
ისევ სტვენა ატყდა  
ასეთ მიხლა-მოხლაში კი  
ორი თავიც გატყდა.  
ნიანგოჯან, იმედი მაქვს  
„განთიადის“ „ბიჭებს“  
შენებურად სათითაოდ  
მოუშინჯავ კიჭებს. მ. კალ-მე

### თავაზიანი ნოქარი

წიგნების ერთერთ მაღაზიაში შევიდა მოქალაქე:

- ვეფხის ტყაოსანი გაქვთ?
- რომელი გამოცემა გნებავთ? — შეეკითხა ნოქარი.
- თქვენ რომელი გაქვთ?
- თქვენ რომელი გნებავთ, რუსული, ქართული, სომხური, თათრული თუ...
- მომეცი ქართული...
- ქართული არა გვაქვს...
- მაშ რუსული იყოს....
- არც რუსული გვაქვს...
- რომელიც გაქვთ ის მომეციქო.
- არც ერთი არა გვაქვს, რას მიყურებ, ვერ მიცანი?..

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა ჩივნი მოუჩერია?!



ლევნი ლომისა სწორია, კუ იპოს, თუნდა სვადია... (შუთა)



1. — ბოდიში აბს. მილიციელო, ვერ მიმასწავლით სად არის ძნელადის ქუჩა? — ჰკითხა ჩამოსულმა კოლმეურნემ საგუშაგოზე მდგომ მილიციელს სეფა სიკინჭილაძეს.  
— ახლო-მახლო უნდა იყოს სადღაც, მეეზოვეს ჰკითხე, იმას ეცოდინება. — მიუგო სეფამ.




2. — პაპიროსი, პაპიროსი! ტოლკო უნას იესტ რისოვი ბუმაგა. — კითხვამდე მიაძახა მეეზოვე უჩამ კოლმეურნეს.  
— მე ძნელადის ქუჩა მინდა, პაპიროსს არ ვეწვევი მეგობარო. — შესჩივლა კოლმეურნემ.  
— მისამართის სწავლება თუ გინდოდა, ჩემს მეტი ველარაგინ ნახე ამხელა ქალაქში?



3. — ძნელადის ქუჩაზე წინათ პაპიროსს ვყიდდი, ახლა აქ ვვაჭრობ. პრიმას ინებებთ თუ რეკორდს? — თავაზიანად მიუგო მეპაპიროსემ კოლმეურნეს.



4. — ძნელადის ქუჩას ვერ მიმასწავლი? ჰკითხა კოლმეურნემ ნათის გამყიდველს.  
— ცოტა ხანს მოიცადე, ამ ბოჭკას გაყვიდი, მერე ჯორჯიაშვილის ქუჩაზე უნდა ჩავიტანო კიდევ ერთი ბოჭკა, მესამე ბოჭკით ძნელადის ქუჩაზე წავალ, წამომყე და გაჩვენებ... ნათი ხომ არ გინდა?



5. — ძნელადის ქუჩას როგორ არ გასწავლი, მაგრამ ხელცარიელი ხომ არ მიხვალ ვილაცასთან მიდიხარ. ერთი ხუთი კილო პური მაინც წაიღე, რომელი ავიწონო, თეთრი თუ წითელი? — უთხრა პურის გამყიდველმა კოლმეურნეს და მისამართი ასწავლა.



6. — ბოდიში, სეფა სიკინჭილაძე აქ ცხოვრობს?  
— დიახ, აქ ცხოვრობს, მე ვახლავარ — მორცხვად მიუგო უხერხულ მდგომარეობაში ჩაეარდნილმა სეფამ, რადგან მიხვდა, რომ ძნელადის ქუჩის მიძებარი გლეხი მისი უცნობი ნათესავი და პირადად მისი სტუმარი ყოფილიყო.

(გურჯაანი)

არის ბორჯომის სახბანკში  
ნიკიტინ, „მორონცხელი“,  
კაცი ლოთი და აყვია,  
„ლამაზ“ სიტყვებში ქებული.

განდო მაყარს: — „მიშველე,  
დამჭირდა შენი გმირობა:  
საჩუქრად ფული მოგვართვან,  
ნუ ჩაიდენენ ვირობას“.

გურჯაანიდან, ნიანგო,  
პატაკი დავაგვიანე —  
როცა დრო გექნეს ჩვენსკენაც,  
კახეთში, ჩამოგვიარე.

პირველი ცოლი გააგდო  
კინწის კვრით მაჯაგანითა.  
თაგბედი დააწყევლინა  
და რომ ვერ გაძღა ამითა,

შეხტა მიტო და შეჰყვირა:  
„ხალხო, აქ შეიკრიბენით,  
ვის რაც უქყაუა ჯიბეში  
ჩვენს მეფეს შემოსწირენით...“

პედსასწავლებელს გაჩვენებ  
გულში ჩაგრჩება მარადა,  
მის ღირექტორსაც გაგაცნობ  
ბაკაშვილია გვარადა.

ქალს შეუთვალა: — დაყაქე  
ჩემი ნაყიდი სამოსი,  
თუ არ გსურს ცხვირი გაგისდეს  
ბადრიჯანივით ნაოსი“.

რალას ეზამდნენ, ეძებდნენ  
ჯიბეში მანეთს... აბაზებს.  
„დახლი არ სდგება“ და სიძეს  
დამსწრეთ სიძუნწე აბრაზებს.

დაგვიანებულ მოწაფეს  
ალარ ლებულობს სკოლაში,  
გარედ გააგდებს ჯიქურად  
სიცივესა და თოვამში.

მუქარამ გასჭრა და ქალსა  
ფერი დაედვა ნაცარის —  
უკან მიართვა უკლებლივ  
კაბა, ჩუსტი და საცვალი...

გაოცდნენ დამსწრე გლეხები:  
„ეს ვინ ყოფილა, ნეტავი, —  
ვის უნახია პარტუვერი  
მთხოვარა, ფულის მხვეტავი?!..“

ბოლოდროს პატივცემულმა  
სულ ახალ ხერხებს მიაგნო;  
ყური დამიგდე რა ვითხრა  
და რა გიამბო ნიანგო:

აქალ საცოლეს უგზავნის  
ნაძარცვს — ზედ საჩუქრებითა.  
სიმამრს — პირობად დადებულს  
ფულს, ღვინოს, მოწიწებითა..

დიდი ხანია არ გვახსოვს  
ამბავი ამის მგვანიო,  
როგორც სჩანს სიძეს აკლია  
მღვდელი და დიაკვანიო.

ერთ დღით კედლის საათის  
წინ გადასწია ისარი,  
და შეისრულა ჯიუტმა  
თავის სურვილი-მიზანი.

თან უთვლის: — „იყოს ქორწილი  
როგორც წესი და რიგია...“  
სიმამრი ჰკვირობს — „რასა  
მწერს,  
ვერ მივხვდი, ვერ გამიგია!“..

„ბალანზე“ სიძე გაბრაზდა  
— „დაიქცეს რჯული ამათი.  
წავაგე, ძლივს მოეაგროვე  
ორმოცდარი მანათი“.

— დაიგვიანეთ, აღრე ვერ  
გამოაწყიტეთ თვალთა? —  
მასწავლებელიც გააგდო,  
ლორთქიჯანიძის ქალია.

...შემოხვდნენ სიძეს მაშლებით,  
ცაში ტყვიებიც აჰყარეს  
და შეიკრიყებმა მოყვრებსა  
მაყარის მოსვლა ახარეს.

ჯავრზე გადაჰკრა, გაჭინჭყლდა,  
რომ გააცრუეს ლოდინში...  
და ბოლოს ისე მიბეგვეს  
ცხრა დღით ჩავარდა ლოგინში.

ყველა მტერი და ორგული  
ნიანგო, გაათიალე!  
და ბაკაშვილის დაბაბთან  
ჩანგალი დაატრიალე.

გახდა ქორწილი, სიძე კი  
ითვლის — რამდენი ხარჯია.  
თან ფიქრობს: „როგორ ავიზლო  
მე ჩემი დანახარჯია...“

ესე ამბავი სასირცხო  
ნიანგო, გულში მეტარა,  
მითხარ, ასე ჰხამს სოფელში  
პარტუვერს კულტურის შეტანა?

რაზი

კუკარაჩა.

საზუსტადი გამცილებელი

ორგველიძე

დაბრუნდა და განახლა მიღება:

უბილეთო მგზავრების, სპეკულიანტების და  
სხვა წვრილი ვაჭრების!

თფილის-ბათუმის მატარებელი № 41.

შესასვლელი საკუთარ კუბეში.

თბილისის გლახთა სახლის სამხარეულოს  
გაერთიანებული ტარაკანკომი ღრმა მწუხარებით  
აუწყებს თავის ნაცნობებს და ნათესავეებს ამავე  
სასადილოს სამხარეულოს საუკეთესო მომუშა-  
ვეების და ძვირფასი მეგობრების

ქმების ტარაკანების

სუფით სავსე ქვაბში ტრადიკულად დალუბვას.  
კრემაცია მოხდება მოსადილეთა კუჭში.



ჩვენი გვიდრი მამული, არ მივცემთ არც ერთ ღრამას... (შოთა)

პ/მგ. რედაქტორის მოვალ. აღმასრულებელი: ს. ბახჩილაძე.

რედაქც. მისამ.: ჯორჯიაშილის ნ. ტელ.: 3-74-67 ტირაჟი 15.000

პოლიგრაფკომბინატი, ყორუსის ქ. მ. ვალდეცა წარმოებას შ/ს.

წელმოწერილთა დასაბეჭდათ 25/1. შუკ. № 284. მთავ. რწმ. 1966